CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 13 ნოემბერი, 2009 წელი. №249 (2287) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ამერიკა და რუსეთი „ტოპოლის„ რაკეტებზე ვერ თანხმდებიან
A8

მედიარუსეთი
A10

„ქორებმა„ ზაზას გარეშე მოიგეს
A14

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

კომპრომისი შედგა, საბოლოო შეთანხმება - ვერა

დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევა 30-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის პირობებში მოხდება - ასეთ შეთანხმებას საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფში ხელისუფლებამ და ოპოზიციის ნაწილმა ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მიაღწიეს. თუმცა, ამ შეთანხმებაში არ მონაწილეობს "ალიანსი საქართველოსთვის". ალიანსში აცხადებენ, რომ ხელისუფლებასთან საუბარი უნდა გაგრძელდეს. აქვე ცნობილი ხდება, რომ ხელისუფლება კიდევ ერთი კომპრომისისთვის - ცესკო-ს თავმჯდომარის გადასაყენებლად არის მზად.

თამარ ივანიძე

საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფის გუშინდელ შეხვედრაზე, "ალიანსი საქართველოს" გარდა, ჯგუფში ჩართული ყველა ოპოზიციური პარტია ("ქრისტიან-დემოკრატები", "ედპ" და "მრეწველები") დათანხმდა ხელისუფლების შეთავაზებას თბილისის მერის არჩევნებში 30-პროცენტიანი ბარიერის დაწესების შესახებ.

"ჩვენ 30-პროცენტიან ბარიერზე შევთანხმდით. ერთადერთი, ვინც ამ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდია," - განაცხადა ოპოზიციასთან ოთხსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ უმრავლესობის წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა. აქვე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ საარჩევნო ბარიერის დაწესება ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის მიმართ გადადგმული კომპრომისული ნაბიჯი იყო.

ცნობისათვის - მერის პირდაპირი წესით არჩევისას საარჩევნო ბარიერის საკითხი იყო მთავარი ფაქტორი, რომელიც მოლაპარაკებებს აფერხებდა. ოპოზიცია 50 პროცენტიანი ბარიერის დაწესებას ითხოვდა, ხელისუფლებას კი საერთოდ უბარიერო არჩევნების ჩატარება სურდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მნიშვნელოვანი მისია ევროკავშირისთვის

დათო გამისონია

ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის 27 ელჩი საქართველოში იმყოფება. გუშინ ისინი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობასა და რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ დევნილებისთვის შექმნილ პირობებს გაეცნენ. ელჩებმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებების პოლიტიკა გააკრიტიკეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატეს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ჰანსიორგ ჰაბერმა უმასპინძლა. თავდაპირველად, ისინი ევრომონიტორების თბილისისა და მცხეთის ოფისებში იმყოფებოდნენ, შემდეგ კი, ელჩები ჯგუფებად დაიყვნენ და ვაზიანის სამხედრო ბაზა, ასევე დევნილებისთვის წეროვანში, საგურამოში, წილკანში აშენებული დასახლებები და ოძისის გამშვები პუნქტი მოინახულეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ანა პაპურიძის ფოტო

ჰანსიორგ ჰაბერი და ოლოფ სკუგი

მანუჩარ მარკოიშვილი: "ტერამოსთან" მხოლოდ ცენტრად არ მითამაშია

ზურაბ თალაკვაძე

იტალიის ჩემპიონატში წარმატებული სტარტი აიღო მანუჩარ მარკოიშვილის "კანტუმ". საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი უკვე ბოლომდე გაუშინაურდა ახალ გუნდს, ახალ ჩემპიონატს, გარემოს. უკანასკნელ ტურში მარკოიშვილმა 15 ქულა დააგროვა "ტერამოსთან" საშინაო შეხვედრაში, რომელიც მისმა გუნდმა 74:69 მოიგო და ხუთი ტურის მერე მანუ და კომპანია ოთხი მოგებით ლიდერებში არიან.

მოედანზე გატარებულ 29 წუთში მარკოიშვილმა 15 ქულა და 3 მოხსნა დააგროვა, თამაშიდან კი 12 სროლიდან 5 გამოიყენა. საბოლოოდ მანუ იტალიის ჩემპიონატის არაამერიკელ ლეგიონერებში საუკეთესოდ დაასახელეს.

ეს ინტერვიუ ძირითადად ნიკა ცქიტიშვილის ყოფილ გუნდთან შეხვედრას და "კანტუს" მომავალ მეტოქეს ეხება.

- მანუჩარ, პირველ რიგში გილოცავთ აღიარებას და გამარჯვებას.

- დიდი მადლობა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და, რომ იტყვიან, ძნელი, მაგრამ მოსაგები თამაში მოიგო.

- მაშინ პირდაპირ "ტერამოსთან" მატჩზე გადავიდეთ.

- რთული შეხვედრა გვქონდა. მართალია, მეტოქედ გრანდი არ გვყავდა, მაგრამ, "სიენას" გარდა, იტალიის ჩემპიონატში ნებისმიერს შეუძლია მომდევნო თამაშის მოგება და თავს მოდუნების საშუალებას ვერ მივცემდით. გარდა ამისა, გვაკლდა ორი წამყვანი მოთამაშე და თითქმის მთელმა შეხვედრამ შვიდი კაცის კისერზე გადაიარა. ასე რომ, შედეგით კმაყოფილი ვართ.

გაგრძელება A13 გვერდზე

CMYK - 1

საკადრო ცვლილებები ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობაში

ოს სეპარატისტთა ლიდერის ედუარდ კოკოითის ე.წ. ხელისუფლებაში ცვლილებებია. ახალ დანიშვნებთან დაკავშირებით ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა საგანგებო თათბირი ჩაატარა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ჩატარებული თათბირის შედეგების მიხედვით, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დომენტი კულუმბეგოვი დაინიშნა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის კულტურის ე.წ. მინისტრი მახარბეგ კოკოევი გახდა. განათლებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის ე.წ. მინისტრის პოსტ კი, ედუარდ კოკოითის გადაწყვეტილებით, არიანა ჯიოევამ დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა თანამდებობიდან ცხინვალის ე.წ. მერი რობერტ გულიევი გაათავისუფლა და მის ნაცვლად გერასიმე ხუგაევი დანიშნა.

ბაღათურია ლარსის გახსნას ითხოვს

დეპუტატი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ფუნქციონირების განახლება აუცილებელია და ხელისუფლებას მისი გახსნისკენ მოუწოდებს. "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, ამის შესახებ განცხადება ბაღათურიამ გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ამოქმედებაზე მცხეთა-თიანეთის მოსახლეობა სოციალურად არის დამოკიდებული. გარდა ამისა, სასაზღვრო პუნქტის გახსნით სომხეთი და აზერბაიჯანია დაინტერესებულია.

რაც შეეხება ლარსის ფუნქციონირების განახლებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ბაღათურია მიიჩნევს, რომ "რა თქმა უნდა, საფრთხე გაიზრდება, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია". მისი აზრით, "მთავარია, მებაჟეებმა იმუშაონ დიდი სიფრთხილით."

უშედეგო მერვე რაუნდი

ჟენევაში მოლაპარაკებების მერვე რაუნდი კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა.

"ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, ქართულმა დელეგაციამ შეხვედრაზე მთავარ საკითხად ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გათავისუფლების საკითხი დააყენა.

მოზარდების გათავისუფლება ევროპელმა თანათავმჯდომარეებმაც მოითხოვეს, თუმცა უშედეგოდ. შეთანხმება არ შედგა უსაფრთხოების დოკუმენტზეც. სეპარატისტებისა და რუსული დელეგაციის წარმომადგენლებმა დოკუმენტის გასაცნობად ორი თვე მოითხოვეს.

რუსი მესაზღვრეების მიერ სამი დღის წინ დაკავებული თერთმეტივე მოქალაქე თავისუფალია

ამის შესახებ სააგენტო "ინტერპრესნიუსი" სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თორნიკე კილანავას განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება. "ყველა დაკავებული უკვე გათავისუფლებულია, მათ შორის ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის ორი მკვიდრი. მათ, სავარაუდოდ, 200 ლარის ექვივალენტის ოდენობის ჯარიმა გადაახდევინეს. ასევე თავისუფალია დანარჩენი 9 მოქალაქე, რომლებიც გალის რაიონის სოფელ ფიჩორისა და ოჩამჩირის რაიონის გაგიდას მაცხოვრებლები არიან", - განაცხადა კილანავამ.

რუსმა მესაზღვრეებმა 10 ნოემბერს შავ ზღვაში თევზაობისას 11 მეთევზე დააკავეს. თუმცა, რუსულმა მხარემ ანაკლიელების დაკავება არ აღიარა და მხოლოდ 9 მოქალაქის დაკავება დაადასტურა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ანდრეი ნესტერენკოს თქმით, დაკავებულებს არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თევზაობის ნებართვა და ნავების დოკუმენტები. მათ ზღვაში გასვლის აფხაზეთში მოქმედი წესებიც დაარღვიეს.

ანტიკრიზისულმა საბჭომ თავდაცვის მინისტრის ანგარიში მოისმინა

ანტიკრიზისული საბჭოს გუშინდელ სხდომაზე თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას მოუსმინეს. შეხვედრაზე, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებისა და რუსული აგრესიის შეჩერებისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს.

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარემ გია თორთლაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ თავდაცვის მინისტრთან შეხვედრამ საინტერესოდ და პოზიტიურად ჩაიარა.

"ჩვენ ვისაუბრეთ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე და როგორც მინისტრმა განაცხადა, უახლოეს პერიოდში სამხედრო აკადემია მუშაობას ახალი ფორმატით განაახლებს. სიახლეს წარმოადგენს ქვეითი ჯარისკაცების სამთო მომზადების კურსის გავლა და სამედიცინო პერსონალის სამხედრო ექიმებად ჩამოყალიბება, ერგვარად მათი გადაკვალიფიცირების პროგრამა," - განაცხადა გია თორთლაძემ.

როგორც ანტიკრიზისული საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს განუცხადა, დღევანდელ შეხვედრაზე განიხილეს მისი ორივე სოციალური ინიციატივა და ახლა მხოლოდ ფინანსური ნაწილის დახვეწა და მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან შეთანხმება დარჩა.

"ძალიან ახლოს არის პერსპექტივა, რომ სამხედროებისა და პოლიციელების ხელფასი 20 პროცენტით გაიზრდება და დაღუპული მეომრების ოჯახებს მეომრების ხელფასი შეუნარჩუნდებათ," - განაცხადა ბაღათურიამ.

თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას მტკიცებით კი, იგი პარლამენტში არაფრის შესათანხმებლად არ მისულა. მისი თქმით, ანტიკრიზისულ საბჭოს მიმდინარე საკითხებისა და პრობლემატიკის შესახებ ჰქონდა კითხვები და სწორედ ამ თემებზე დასმულ კითხვებს უპასუხა.

ის, რომ სოციალურ თემებზე იყო საუბარი, გია თორთლაძემაც დაადასტურა. მისი ინფორმაციით, მინისტრთან საუბარი ომში დაღუპულთა ოჯახების პენსიების და კომპენსაციის საკითხებს, ასევე ომის მონაწილეთა სოციალურ პროგრამებსაც შეეხო. თუმცა, თორთლაძის თქმით, ეკონომიკური ბლოკის მინისტრების გარეშე ამ თემაზე შეთანხმება, ცხადია, ვერ შედგება.

საკუთარი ინფორმაცია

ბურჯანაძის ვოზიციას ოპოზიციის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს

ნათია მსხილაძე

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერ ნინო ბურჯანაძის პოზიციით, საქართველოში არჩევნები მიხეილ სააკაშვილის გარეშე უნდა ჩატარდეს, რისთვისაც ინტენსიურად გრძელდება ორგანიზება "შეურიგებელთა რიგების" გასაძლიერებლად. თუმცა "შეურიგებელთა რიგებში" ოპოზიციის უმრავლესობა თავს არ მოიაზრებს, ზოგი კი ამას მომავლის თემად მიიჩნევს.

"დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ 11 ნოემბერს განაცხადა, რომ მას არჩევნებში მონაწილეობა სურს, თუმცა არა სააკაშვილის "რეჟიმის" პირობებში.

ბურჯანაძის განმარტებით, ხელისუფლება მიზანმიმართულად ერევა ოპოზიციური პარტიების მოქმედების პროცესში, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი პოლიტიკური რეალობა - "მომლაპარაკებელი" და "შეურიგებელი " ოპოზიცია, არჩევნებისა და აქციების გზა. **"დიახ, ჩვენ გვინდა არჩევნები, მაგრამ სააკაშვილის წასვლის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი არ დათმობს მონოპოლიას არჩევნების შედეგებზე, არ შეცვლის საარჩევნო გარემოს, არ დათმობს მონოპოლიას ინფორმაციაზე, არ გაათავისუფლებს მედიას. ამიტომ, სააკაშვილის მმართველობის დროს გამართული ნებისმიერი არჩევნები მხოლოდ გააძლიერებს რეჟიმს. სწორედ ამის გამო ჩვენი გზა შეურიგებელთა ფრონტზე გადის, რომლის ორგანიზებაც ინტენსიურად გრძელდება,"** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

"მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დადებით მომენტს უწოდებს ოპოზიციის გარკვეულ ნაწილში "შეურიგებელთა რიგების" გაძლიერებას. მოიაზრებიან თუ არა "მრეწველები" "შეურიგებელთა რიგებში", ამას პარტია მომავლის თემად მიიჩნევს. თუმცა, მათი თქმით, "გამორიცხული არაფერია". **"შეურიგებელი ბრძოლა იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ოპოზიციას აქვს დასახული, აუცილებელია, ოღონდ ეს ყველაფერი კონსტიტუციის სრული დაცვით უნდა განხორციელდეს. მრავალი ხერხი არსებობს, რათა რადიკალური პოზიცია კანონის დაურღვევლად გამოხატო,"** - აღნიშნა "მრეწველთა" პარტიის ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ.

"მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" "შეურიგებელთა რიგებში" არ მოიაზრება, რადგან, მათი განცხადებით, მსგავსი რადიკალური აქციები საპირისპირო შედეგს იძლევა. **"ჩვენი ხაზი უცვლელია. მსგავსი აქციები ხელს უწყობს სააკაშვილის რეჟიმის გამაგრებას და ხალხის გაწბილებას. ჩვენი პოზიციაა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა განუხრელად უნდა დაიცვან ხალხის ინტერესები და ეს ხალხს დაანახონ. ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას ხალხთან - როგორც ქალაქებში, ისე რეგიონებში. ამავე დროს, ყველა დონის არჩევნებისთვის ვემზადებით,"** - აღნიშნა პეტრე მამრაძემ.

ალასანიას პოლიტიკური გაერთიანებაში - "ალიანსი საქართველოსთვის" ბურჯანაძის ინიციატივას არ იზიარებენ. **"ჩვენი უახლოესი მიზანია არჩევნები. მიგვაჩნია, რომ ყველა ბერკეტი უნდა იქნას გამოყენებული, რათა თანდათანობით მოხდეს სიტუაციის გაუმჯობესება და ხელისუფლების შეცვლა. თანამშრომლობას არ გამოვრიცხავთ არც შეურიგებლებთან და არც ყველაზე რადიკალურებთან, მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს,"** - აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა.

"ქალბატონმა ბურჯანაძემ ეს განცხადება მაშინ გააკეთა, როცა ოპოზიციაში გადავიდა, ჩვენ კი მაშინ ვსაუბრობდით ამ თემაზე, როდესაც თვითონ ბრძანდებოდა პარლამენტის თავმჯდომაზე. ამიტომ, რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ ამ ქალბატონის განცხადებებზე?" - ასე გამოეხმაურა "ლეიბორისტთა " პარტიის წევრი პაატა ჯიბლაძე ნინო ბურჯანაძის განცხადებას.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" საკუთარ თავს მოიაზრებს იქ, სადაც არიან არა პოლიტიკური პარტიები, არამედ ნებისმიერი ადამიანი, ვინც ხელისუფლებას არ ეგუება. **"მიმაჩნია, რომ ძალიან პრინციპულია ამ პოზიციის დაკავება, რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ ქუჩის საპროტესტო აქციებს, არამედ გულისხმობს წინააღმდეგობის ფრონტის შექმნას ყველა მნიშვნელოვან თემაზე. სწორი იქნება, თუ მიიღწევა სააკაშვილის გარეშე არჩევნების ჩატარება,"** - აღნიშნა "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ეკა ბესელიამ.

აფხაზეთი სეპარატისტი პრეზიდენტის მოლოდინში

სეპარატისტულ აფხაზეთში 12 დეკემბერს დაგეგმილ ე.წ პრეზიდენტის არჩევნებში ხუთი კანდიდატურა იყრის კენჭს: სეპარატისტების ამჟამინდელი ლიდერი სერგეი ბაგაფში, მისი მთავრობის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ყოფილი დეპუტატი და ბიზნესმენი ბესლან ბუთბა, სეპარატისტული აფხაზეთის სანაოსნო კომპანიის ხელმძღვანელი ზაურ არძინბა და მეცნიერი ვიტალი ბგანბა.

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატებს ე.წ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატობის დამადასტურებელი დოკუმენტები უკვე გადასცა და აფხაზური ტელევიზიითა და რადიოთი 4-საათიანი უფასო ეთერიც გამოუყო. **"ამასთან, აფხაზეთის ტელევიზიით დღეში ერთხელ გავა სარეკლამო რგოლები კანდიდატების შესახებ. რგოლების ჩვენება 20 დღის განმავლობაში გაგრძელდება,"** - განაცხადა ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბათალ ტაბაღუამ.

ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატები კითხვებს ტელეეთერში 7-11 დეკემბერს უპასუხებენ, მანამდე კი - 30 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ტელეეთერით კითხვებს ე.წ. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები გასცემენ პასუხს.

სეპარატისტების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩევლების რაოდენობა, სავარაუდოდ, 129 ათასი იქნება. არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ ე.წ. აფხაზეთის მოქალაქის პასპორტით არის შესაძლებელი, რომელიც ამ დროისთვის 141 ათას ადამიანს აქვს აღებული. მათ შორის, დაახლოებით, 3 ათასი პასპორტი გალის რაიონშია გაცემული.

ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება 35 საარჩევნო ოლქში, რომლებიც 186 საარჩევნო უბანს მოიცავს. ორი უბანი კი მოსკოვსა და ჩერკესკში გაიხსნება.

წინასაარჩევნო კამპანიის გამო სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა დე ფაქტო პრემიერი ალექსანდრე ანქვაბი თანამდებობიდან გაათავისუფლა, რამდენადაც ანქვაბი ე.წ. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატია. დე ფაქტო მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას "ვიცე-პრემიერი" ლეონიდ ლაკერბაია შეასრულებს .

ცნობისათვის - ალექსანდრე ანქვაბი ე.წ. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად თავის დროზე სერგეი ბაგაფშმა დაასახელა.

წინა საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში დიდი მღელვარების ფონზე ჩატარდა. პრეზიდენტის ვინაობის გამოსავლენად ორი ტურის გამართვა გახდა საჭირო. მანამდე კი სოხუმში ლამის სამოქალაქო დაპირისპირება მოხდა. მაშინდელმა ოპოზიციამ ანუ ბაგაფშის მომხრეებმა ცესკო-ს შენობა შტურმითაც კი აიღეს. შენობაში შეჭრის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. წელს ასეთ დაპირისპირებებს გამორიცხავენ, რადგან ამ არჩევნებში ბაგაფში უკვე აღარ იქნება რუსეთისთვის მიუღებელი ფიგურა. ბაგაფშმა რუსეთს და კონკრეტულად პუტინს თავისი ერთგულება უკვე დაუმტკიცა. არადა, წინა არჩევნების დროს ბაგაფში, რატომღაც, პროქართულ ძალად მოიაზრებოდა.

რუსეთს პრეტენზიები არც რაულ ხაჯიმბასთან ექნება, რომელიც წინა არჩევნებზე კრემლის ღია მხარდაჭერით სარგებლობდა. ბაგაფშმაც და ხაჯიმბამაც დაამტკიცეს, რომ ისინი საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას არ აპირებენ.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

კომპრომისი შედგა, საბოლოო შეთანხმება - ვერა

პირველი გვერდიდან

გუშინ დილით 33-პროცენტიან ბარიერზე ალაპარაკდნენ "ქრისტიან-დემოკრატები", რომლებმაც სხდომის დაწყებამდე განაცხადეს, რომ ეს იქნებოდა კომპრომისული გადაწყვეტილება. შესაბამისად, შეხვედრაზე ხელისუფლების მიერ გაკეთებული შეთავაზება "ქრისტიან-დემოკრატებისთვის" მისაღები აღმოჩნდა.

ვიცე-სპიკერის, "ქრისტიან-დემოკრატ" ლევან ვეფხვაძის განცხადებით, "ქრისტიან-დემოკრატები" ხელისუფლების შეთავაზებას იმის სანაცვლოდ დათანხმდნენ, რომ დედაქალაქის საკრებულოში თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი დეპუტატები მაჟორიტარული და პროპორციული სიით, კერძოდ - 25X25.

"ეს იყო კომპრომისი, რომელიც დღეს შედგა და ძალიან სამწუხაროა, რომ "ალიანსი საქართველოსთვის" ამ საკითხზე თანახმა არ არის," - აღნიშნა ვეფხვაძემ. ცნობისათვის - შესაბამისი სახელისუფლებო შეთავაზება საწყის ეტაპზე 30X15-ზე დეპუტატის არჩევას გულისხმობდა.

საკრებულოში დეპუტატთა თანაბარი რაოდენობით წარმოდგენის პირობით 30-პროცენტიან ბარიერზე ასევე თანახმდებიან "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

აღნიშნული შეთანხმების ჩაშლას არ აპირებს "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფში ვერ შედგა შეთანხმება საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლის შესახებ.

"საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სამწუხაროა, რომ ჯერ ამ საკითხში კონკრეტულს ვერაფერს მივაღწიეთ," - განუცხადა ბაღათურიამ ჟურნალისტებს გუშინ, საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, იგი პრინციპულად მოითხოვს, საარჩევნო ადმინისტრაციაში ოპოზიცია და ხელისუფლება თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი ანუ 7-7-ზე, ხოლო ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევა კონსენსუსით მოხდეს.

"ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენლები კი, რომლებიც გუშინდელ შეთანხმებას არ შეუერთდნენ, იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება თბილისის მერის არჩევნებისთვის ბარიერს გაზრდის.

როგორც ჟურნალისტებს "რესპუბლიკელმა" დავით ბერძენიშვილმა განუცხადა, ხელისუფლებამ ბარიერის დაწესება 0 პროცენტიდან დაიწყო და 30 პროცენტზე ავიდა, რაც მათი მხრიდან ბარიერის კიდევ უფრო გაზრდის იმედს იძლევა.

მისივე თქმით, 30-პროცენტიანი ბარიერი იმას ნიშნავს, რომ უმცირესობით მოიპოვო უმრავლესობა, რაც "ალიანსისთვის" მიუღებელია.

"საქართველო მრავალპარტიული ქვეყანაა, ამიტომ არჩევნებში 30 პროცენტით გასული მერი 70 პროცენტის წინააღმდეგ იქნება," - აღნიშნა მან.

"მემარჯვენე" მამუკა კაციტაძის მოსაზრებით კი, 30 პროცენტი ვერ უზრუნველყოფს პიროვნების სანდოობას მერის რანგში.

ჟურნალისტებთან საუბრისას კაციტაძემ აღნიშნა, რომ "ალიანსის" პოზიციაა ბარიერი იყოს სოლიდური და საზოგადოების განწყობის ამსახველი.

"ალიანსი საქართველოსთვის" თბილისის მერის არჩევნებზე 50 პროცენტს+1-ი ბარიერის დაწესებას ითხოვს.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მომავალ შეხვედრაზეც გაგრძელდება, რომელიც, სავარაუდოდ, 16 ნოემბერს გაიმართება.

მანამდე კი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, იურიდიულ საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები ახალ საარჩევნო კანონმდებლობაზე დაწყებული მუშაობის პირველ შედეგებს დღეს საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს გააცნობენ. აღნიშნული საკითხის გამო პავლე კუბლაშვილი და აკაკი მინაშვილი პარლამენტში საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდებიან.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლებამ ცესკო-ს მოქმედი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის თანამდებობიდან გადაყენების პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მიიღო. ამის შესახებ ჯგუფის შეხვედრიდან გამოსულმა დეპუტატმა გია თორთლაძემ განაცხადა. მისი თქმით, თარხნიშვილის გათავისუფლების საკითხზე სახელისუფლებო გუნდში თანხმობა უკვე არსებობს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, ოფიციალურად როდის გაფორმდება აღნიშნული შეთანხმება. ოპოზიციონერი დეპუტატი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არ ჩატარდება.

მნიშვნელოვანი მისია ევროკავშირისთვის

პირველი გვერდიდან

ელჩებს პოლიტიკური ხასიათის შეხვედრები დღეისთვის აქვთ დაგეგმილი. საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას ნაკლებად ოფიციალური სახე ექნება. მიხეილ სააკაშვილი მათ საქმიან ლანჩზე უმასპინძლებს. შემდეგ კი ელჩები პრემიერ-მინისტრს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს და ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერიას შეხვდებიან. დელეგაციას შვედეთის ელჩი ოლოფ სკუგი ხელმძღვანელობს. მათი ვიზიტის მიზანი, კონფლიქტურ ზონებში არსებული მდგომარეობის შესწავლის გარდა, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გაცნობაა. სწორედ ამიტომ, დელეგაციის წევრები საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან აპირებენ მოლაპარაკებების გამართვას, ასევე დაგეგმილია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან საუბარი.

პოლიტიკური ვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებამდე, გუშინ შვედეთის ელჩმა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ჰანსიორგ ჰაბერთან ერთად, პრესკონფერენცია გამართა. მედიასთან შეხვედრას ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიც დაესწრო, თუმცა მას კომენტარი არ გაუკეთებია. ოლოფ სკუგმა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაწყებული ევრომონიტორების საქმიანობა შეაფასა. მისი თქმით, მისიამ დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვა თავი და მანდატი ცვლილებას არ საჭიროებს. სკუგის თქმით, **"შთამბეჭდავი იყო სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული სამუშაო, საქართველოში მოქმედი მისია ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია."**

ფუნქციონირების დაწყების დღიდან მისიის უმთავრესი დაბრკოლებაა შეზღუდული სამოქმედო არეალი. ამის გამო საერთაშორისო საზოგადოებას არა აქვს ინფორმაცია, თუ რა ხდება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. **"პრობლემა ის არის, რომ ჩვენ არ გვიშვებენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ჩვენ ვართ შეუიარაღებელი სამოქალაქო მისია, რომელსაც არ შეუძლია ძალის გამოყენება, მაგრამ ჩვენ უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეგვიძლია. ამ კუთხით ერთადერთი, რისი გაკეთების საშუალებაც გვაქვს ის არის, რომ ჩვენ არ ვცნობთ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ასე გამოვხატავთ საქართველოს მიმართ მხარდაჭერას,"** - განაცხადა ოლოფ სკუგმა. ჰანსიორგ ჰაბერის თქმით, **"იმისთვის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენი მანდატის შესაბამისად გვემოქმედა, ყველა დიპლომატიურ და პოლიტიკურ გზას მივმართეთ. თუმცა, ჩვენ არ ვართ დაშვებული ამ ტერიტორიებზე და ჩვენს მისიას სრულყოფილად ვერ ვასრულებთ."**

პრესკონფერენციაზე ელჩებმა სოფელ ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების შესახებაც ისაუბრეს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის ელჩს მიაჩნია, რომ **"ინციდენტი, რომელიც ბავშვებს ეხებათ, მოგვარებადია, მოზარდების დაბრუნებისკენ ყველა მხარეს უნდა მოვუწოდოთ. აუცილებელად უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვნების შესახებ არსებული კონვენციები და წესდებები."** სკუგმა ევროკავშირის სახელით განაცხადა: **"უკიდურესად შეშფოთებულები ვართ. ბავშვების გასათავისუფლებლად ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რეგიონში უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ არის, ამიტომ ევროკავშირის მისია უნდა გაგრძელდეს."** ელჩებმა კი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ სპეციალური დასკვნა უნდა მოამზადონ. მასში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობასა და რეგიონში შექმნილ სიტუაციაზე იქნება საუბარი.

ცხინვალის იზოლატორში

მომავალ დასკვნაში, სავარაუდოდ, 4 ნოემბერს სოფელ ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების საკითხიც შევა. არასრულწლოვნები კვლავ ცხინვალის წინასწარი დაკავების საკნებში იმყოფებიან. მართალია, "წითელი ჯვრის" წარმომადგენლებმა მათ თბილი ტანსაცმელი შეუტანეს, მაგრამ, როგორც მოზარდების ახლობლები აცხადებენ, სამი გატაცებული გაციებულია. მათ ოჯახის წევრებისთვის წერილის გამოგზავნის საშუალებასაც კი არ აძლევენ.

გუშინ სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარ ტომას ჰამერბერგს ესაუბრა. მოგვიანებით კი ტირძნისის საჯარო სკოლაში ომბუდსმენი დაკავებული მოზარდების მშობლებს შეხვდა და მათი შვილების გათავისუფლების საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობასთან მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ესაუბრა. ტუღუშმა მოზარდების გატაცების ფაქტი შეაფასა. **"აქ ყველა სტანდარტი დარღვეულია, რაიმე კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებზე საუბარი ზედმეტია. ის უმსგავსოება, რაც გააკეთეს, არის ყველა საერთაშორისო ნორმის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება - არასრულწლოვნებით სპეკულაცია - რაც დაუშვებელია,"** - განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

ტირძნისელი მოზარდების დაკავების გამო პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოსკოვზე ზეწოლის გაძლიერებისკენ მოუწოდა. **"ის, რაც ჩვენ რუსეთისგან მოვისმინეთ, თითქოს ეს არის ოსეთის მხარის საკითხი, აბსოლუტური ცინიზმია. ე.წ. საზღვარს და ოკუპირებულ რეგიონში ვითარებას რუსი მესაზღვრეები მთლიანად აკონტროლებენ. ის სირცხვილი, რასაც ბავშვების დაპატიმრება ჰქვია, რუსეთის საოკუპაციო ძალის და ხელისუფლების პასუხისმგებლობაა,"** - განაცხადა ბაქრაძემ.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიღებული დაფინანსება იცვლება

გამოცდების ეროვნული ცენტრი ერთიანი ეროვნულ გამოცდების შედეგად დაფინანსების მიღების ახალ წესს განმარტავს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო გრანტი კვლავ სრული და ნაწილობრივი (100%, 70%, 50% და 30%-იანი) იქნება. თუმცა, 2010 წლიდან სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა არა მხოლოდ ზოგადი უნარების, არამედ ოთხივე გამოცდის შედეგის მიხედვით, სადაც ზოგადი უნარების გამოცდის შედეგს 1,5 კოეფიციენტი ექნება.

მაგალითად: თუ აბიტურიენტმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 169,1 მიიღო, ზოგად უნარებში - 165,7, უცხოურ ენაში - 164,8 და მათემატიკაში - 164,0, მისი საგრანტო ქულა იქნება 169,1 + 165,7X1,5 + 164,8 + 164,0 = 746,45.

745,45 იქნება აბიტურიენტის საგრანტო ქულა, რომლითაც ის დაფინანსების მოსაპოვებლად სხვა აბიტურიენტებს კონკურენციას გაუწევს. დაფინანსების მოპოვებისას დაცული იქნება შემდეგი პრინციპი: სახელმწიფო დაფინანსება არ გაიცემა ერთიანი რეიტინგული სიის მიხედვით. ყოველი არჩევითი საგნისთვის - მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა - შედგება საგრანტო ქულაზე დაფუძნებული რეიტინგული სია და კონკრეტული არჩევითი საგნისთვის გამოყოფილი თანხა ამ რეიტინგული სიის მიხედვით განაწილდება. მაგალითად: დაფინანსების მოსაპოვებლად ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს ყველა აბიტურიენტი, რომელმაც ჩააბარა მათემატიკა, ზუსტად ასევე ერთმანეთს შეეჯიბრებიან აბიტურიენტები, რომლებმაც ჩააბარეს ქიმია ან ლიტერატურა და ა.შ.

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის 7% ყოველ არჩევით საგანზე (მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ლიტერატურა - თითოეულზე 1%) თანაბრად განაწილდება. დარჩენილი 93% - პროპორციულად განაწილდება აბიტურიენტების მიერ არჩევითი საგნის არჩევის რაოდენობის შესაბამისად (ე.წ. კონკურსის შესაბამისად).

თუ აბიტურიენტი რამდენიმე არჩევით საგანს ჩააბარებს, მას სახელმწიფო იმ არჩევითი საგნის სკალირებული ქულის შესაბამისად დააფინანსებს, რომლითაც ის კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებს.

თუ აბიტურიენტი ფაკულტეტის მიერ მოთხოვნილ ორ ან მეტ არჩევითი საგნის გამოცდას ჩააბარებს, ის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობას მიიღებს იმ არჩევით საგანში მოპოვებული სკალირებული ქულით, რომლითაც მეტ დაფინანსებას მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომელი გამოცდის შედეგით ჩაირიცხება ამ ფაკულტეტზე.

თუ რომელიმე მიმართულებისთვის გამოყოფილი თანხა ბოლომდე ვერ იქნება ათვისებული, დარჩენილი რაოდენობა პროპორციულად გადანაწილდება არჩევით საგნებს შორის.

აბიტურიენტი, რომელიც აბარებს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სახელმწიფო დაფინანსებას იღებს შესაბამისი კონკურსის შედეგის საფუძველზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან.

თუ აბიტურიენტი აბარებს სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების საშემსრულებლო ან სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამაზე და სურს, მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მან სავალდებულო საგნებთან ერთად უნდა ჩააბაროს მის მიერ არჩეულ არჩევითი საგნებიდან ერთი გამოცდა. არჩევითი საგნის გამოცდის ქულა გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნებისთვის.

კარასინი: ქართული უპილოტო აპარატები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კვლავ დაფრინავენ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ამტკიცებს, რომ ქართული უპილოტო საფრენი აპარატები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კვლავ დაფრინავენ.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, ამის თაობაზე კარასინმა "რია ნოვოსტის" ჟენევიდან აცნობა, სადაც გუშინ სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებზე მორიგი რაუნდი გაიმართა.

კარასინის თქმით, ჟენევის ფორმატის თანათავმჯდომარეები აცხადებენ, რომ ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ბოლო დროს ვითარების სტაბილიზაცია შეიმჩნევა.

"ეს საერთოდ არ შეესაბამება სიმართლეს. კვლავ დაიწყეს უპილოტო აპარატებმა ფრენა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში", - განაცხადა კარასინმა, რაც, მისივე თქმით, საგანგაშო სიმპტომია და საქართველოს მხრიდან ძალისმიერ მეთოდებზე მიუთითებს.

წერილები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

წერილი 4

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ძალიან მნიშვნელოვანი ცნებაა ფასიანი ქაღალდების ბაზარი.

სახელწოდებიდან ჩანს, რომ ეს არის სისტემა, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. საერთოდ, ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის ფინანსური ბაზრების ((Financial Markets) უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი.

თავად ფინანსური ბაზარი - ეს არის ადგილი, სადაც ხდება ფინანსური რესურსების, ფულის მოთხოვნა და მიწოდება. არსებობს კატეგორია პირებისა, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი ფინანსური რესურსები (ბაზრის თითქმის ყველა სეგმენტში მათ შეიძლება ვუწოდოთ ინვესტორები) და რომელთაც სურთ გამოიყენონ ეს რესურსები შემოსავლის მისაღებად ან სხვა საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არსებობენ აგრეთვე პირები, რომელთაც სჭირდებათ ფინანსური რესურსები სხვადასხვა მიზეზის გამო (ფასიანი ქაღალდების ბაზარზე - ემიტენტები). ბაზარზე არის აგრეთვე კატეგორია პირებისა (ფასიანი ქაღალდების ბაზარზე - ფინანსური ინსტიტუტები), რომლებიც ასრულებენ შუამავლის როლს.

ფინანსურ ბაზრებში გამოყოფენ შემდეგ ძირითად სეგმენტებს: სავალუტო ბაზარი, სახელმწიფო ვალდებულებების ბაზარი, მუნიციპალური ობლიგაციების ბაზარი, კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი, აქციების ბაზარი და ა.შ., მათ შორის სასაქონლო ბაზარი და უძრავი ქონების ბაზარი. ფინანსური ბაზრების რამდენიმე სეგმენტი შეადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ფულის ბაზრისა (Capital Market) და კაპიტალის ბაზრის (Money Market) ჯამი. სადაც იგულისხმება, რომ ფულის ბაზარი ეს არის მოკლევადიანი ქაღალდების (ერთ წლამდე) ბაზარი, ხოლო კაპიტალის - გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი) ფასიანი ქაღალდებისა. საქმე ის არის, რომ ბევრი საკითხის განხილვისას, პირველ რიგში, საინვესტიციო მიმართულების არჩევისას, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიღებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სეგმენტაცია სწორედ ასეთი პრინციპით. განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. ღია ტიპის ფონდების საქმიანობას. ეს ფონდები განათავსებენ კერძო ინვესტორების ფულს ფინანსურ ბაზრებზე. განასხვავებენ ორი ძირითადი ტიპის ფონდს: საინვესტიციოს, რომლებიც მოქმედებს კაპიტალის ბაზარზე, და ფულადი ინსტრუმენტებისა, რომლებიც მოქმედებს ფულის ბაზარზე. ბევრი საინფორმაციო საშუალება, რომლებიც რეგულარულად აქვეყნებს ფინანსურ ინფორმაციას, ასევე გამოიყენებს ამ ტერმინებს.

ქართულ ფინანსურ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეთ ტერმინს "საფონდო ბაზარი", რომელიც არის შესაბამისი ტერმინის პირდაპირი თარგმანი რუსულიდან. რუსული ტერმინი "Фондовый Рынок" აღნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზარს. რადგან ქართულ კანონმდებლობაში გამოიყენება ტერმინი "ფასიანი ქაღალდების ბაზარი", უფრო ხშირად ჩვენ გამოვიყენებთ ამ ტერმინს, ვიდრე საფონდო ბაზარს, თუმცა ეს ტერმინები სრულიად იდენტურია.

საერთოდ კარგი იქნება გვახსოვდეს, რომ თუ სადმე წავაწყდებით ტერმინებს "ფასიანი ქაღალდების ბაზარი", "ფასიანი ქაღალდი", "ფინანსური ბაზრები", უნდა გავარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობით არის ისინი გამოყენებული ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან შეიძლება, თუმცა ძალიან იშვიათად, მათი მნიშვნელობა განსხვავდებოდეს ჩვენ მიერ მოცემული მნიშვნელობისაგან.

განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების პირველად და მეორად ბაზარს. პირველად ბაზარზე ხდება გამოშვებული ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი განთავსება, ხოლო მეორად ბაზარზე - უკვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

ფასიანი ქაღალდებით მეორადი ვაჭრობის ძირითადი მოცულობა მოდის საბირჟო ვაჭრობაზე, თუმცა არსებობს აგრეთვე არასაბირჟო ბაზარიც. ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საკითხებს.

ფინანსური ბაზრები გამოირჩევიან გიგანტური მასშტაბებით, მაგალითისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე ასეთი ბაზრის მახასიათებელი;

ნიუ-იორკის ბირჟის ლისტინგში არის დაახლოებით 2000 საწარმოს

ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო კაპიტალიზაცია (სააქციო საზოგადოების კაპიტალიზაცია არის ამ საზოგადოების ყველა აქციის საბაზრო ღირებულების ჯამი) აღემატება 25 ტრილიონ დოლარს;

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი და, შესაბამისად, სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების მოცულობა, აღემატება 11 ტრილიონ დოლარს.

ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა მსოფლიოს წამყვან ბირჟებზე აღემატება რამდენიმე მილიარდ დოლარს.

წაიკითხეთ ყოველ პარასკევს

ფორდმა კრიზისი გადალახა

მსოფლო ეკონომიკური კრიზისი უმძიმესი გამოცდა გამოდგა მსოფლიოს, განსაკუთრებით ამერიკული ავტომწარმოებლებისთვის. ერთადერთი ამერიკული ავტომწარმოებელი, რომელმაც კრიზისი დიდი დანაკარგების გარეშე გაიარა და გაკოტრებას გადაურჩა, არის "ფორდ მოტორი". საერთაშორისო სააგენტო "ინტერბრენდის" (Interbrand) შეფასებით, კომპანიის ბრენდი ერთადერთი აღმოჩნდა ამერიკულ ავტომწარმოებლების ბრენდებს შორის, რომელიც მსოფლიოს ას ყველაზე ძვირადღირებული ბრენდის სიაში მოხვდა. კომპანიის მდგომარეობას მაღალ შეფასებას აძლევდა საფონდო ბაზარი, რის გამოც მისმა აქციებმა, სხვა ავტომწარმოებლების აქციებისგან განსხვავებით, დრამატული ვარდნა არ განიცადა.

"ფორდ მოტორის" მყარი ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელია კომპანიის მაჩვენებლები 2009 ფინანსურ წელს. უფრო მეტიც, ეს მაჩვენებლები ყველაზე დიდი ოპტიმისტებისთვისაც სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. კომპანიის მოგებამ ამ წელს 997 მილიონი დოლარი (29 ცენტი აქციაზე) შეადგინა - უკეთესი, ვიდრე წინა წელს, როდესაც კომპანიის მოგება 161 მილიონი (7 ცენტი აქციაზე) იყო. კომპანიამ გაყიდა 1.23 მილიონი მანქანა მთელ მსოფლიოში, რაც 5%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. განსაკუთრებით წარმატებული იყო "ფორდ მოტორის" საქმიანობა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც გაყიდვები 2.9 მილიარდი დოლარით, ანუ 27%-ით გაიზარდა და 13.7 მილიარდ დოლარს მიაღწია. კომპანიის გაყიდვებმა მთელ მსოფლიოში 30.9 მილიარდ დოლარს მიაღწია.

"ფორდ მოტორის" აქციები უკანასკნელ კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ეს ხელსაყრელი მომენტი ახალი ფასიანი ქაღალდების განსათავსებლად გამოიყენოს. კომპანია აპირებს, 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ჩვეულებრივი აქციები და 2 მილიარდი დოლარის ღირებულების კონვერტირებადი ობლიგაციები გამოუშვას. უნდა აღინიშნოს, რომ "ფორდ მოტორს" ორი ტიპის ჩვეულებრივი აქციები აქვს, რაც უაღრესად იშვიათი მოვლენაა საფონდო ბაზარზე. ე.წ. A ტიპის აქციები განკუთვნილია ჩვეულებრივი ინვესტორებისთვის, ხოლო B ტიპის აქციები ძირითადად კომპანიის დამფუძნებელი ჰენრი ფორდას მემკვიდრეებს ეკუთვნის. ამ ტიპის აქციებს განსხვავებული ხმის უფლება აქვთ აქციონერთა კრებაზე, რაც ასეთი ტიპის აქციების მფლობელებს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნონ კონტროლი კომპანიაზე.

ანალიტიკოსების აზრით, კომპანიის წარმატებების მიზეზი ის პოლიტიკაა, რომელსაც ის უკანასკნელი წლების განმავლობაში ატარებდა.

ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, სტრუქტურული ხარჯების შემცირებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის გაუმჯობესებას. განსაკუთრებულ ყურადღებას კომპანია სწორედ ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარს უთმობდა. უკანასკნელი წლების წარმატებული პოლიტიკის შედეგად კომპანია კრიზისს მყარი ფინანსური მდგომარეობით შეხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია უაღრესად ეფექტურად მოქმედებდა კრიზისის მსვლელობაშიც. კერძოდ, უკანასკნელ წელს მან შეძლო, სტრუქტურული ხარჯები მთელი მილიარდი დოლარით შეემცირებინა.

ცნობისათვის, "ფორდ მოტორი" ერთ-ერთი უძველესი ავტომწარმოებელი კომპანიაა მსოფლიოში. ის ამ ინდუსტრიის პიონერი და დარგში მთელი რიგი ნოვაციების ავტორია. მისი დამფუძნებელი იყო ჰენრი ფორდი, ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება მსოფლიო ბიზნესის ისტორიაში. 1927 წლამდე "ფორდ მოტორი" უდიდესი ავტომწარმოებელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და მსოფლიოში. შემდგომ მან ეს როლი "ჯენერალ მოტორსს" (General Motors) დაუთმო. კომპანია უდიდესი ამერიკული კომპანიების Fortune-500 სიაში შედის, სადაც 2008 წლის მონაცემებით მეშვიდე ადგილი უკავია და "ჯენერალ მოტორსს" უმნიშვნელოდ ჩამორჩება.

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტი, კომპოზიცია, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა, ფარდაგი და უამრავი ხელით ნაქარგი სუვენირი

თქვენ ხდებით ქართული ხალხური ჯულფურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6. ტელ.: (995 32) 66 21 02, 855 25 52 71

მსოფლიო ბანკმა საქართველოს გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კიდევ ორი პროექტი დააფინანსა

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) 28 მილიონი დოლარის ოდენობის სესხი საქართველოში აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტის დამატებითი დაფინანსების მიზნით. ეს თანხა რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციას, შემოვლითი გზის 4.2 კმ-ის შეკეთებას და ინსტიტუციონალურ გაძლიერებას მოხმარდება. თავდაპირველი პროექტი (FEWHIP) დამტკიცდა 2006 წელს და აღაიანიდან იგოეთამდე აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის 13-კილომეტრიანი მონაკვეთის გაუმჯობესებას მოხმარდა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სატრანსპორტო ხარჯების თანდათანობით შემცირება და ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესაძლებლობის გაუმჯობესება. აგრეთვე, სატრანზიტო მოძრაობის გამარტივება-გაიოლება და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება. საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის ცენტრალურ ნაწილში ამ მიზნის მისაღწევად თბილისიდან რიკოთამდე აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების გაუმჯობესება და რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია მოხდება.

პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელ ელიზაბეთ ვანგის თქმით, "რიკოთის გვირაბი, რომელიც ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი მონაკვეთი გახლავთ, ვინაიდან იგი ერთადერთ მარშრუტს წარმოადგენს როგორც ტვირთის, ისე მგზავრების გადასაზიდად ნებისმიერი ამინდის პირობებში."

გუშინვე მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი საქართველოში კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტისათვის. პროექტის მიზანია სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და კახეთის რეგიონულ გზებზე ტრანსპორტის მოძრაობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება. ეს მიზანი მიღწეული იქნება სამი ღონისძიების მეშვეობით: ვაზიანი-გომბორი-თელავის მონაკვეთის 65-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია; ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება ვაზიანი-გომბორი-თელავის არსებული გზის გასწვრივ; და საგზაო დეპარტამენტის საგარეჯოს რეგიონული ოფისის შესაძლებლობების გაძლიერება.

პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელ ჯორჯ ბანჯოს თქმით, გზის რეაბილიტაცია 57 კილომეტრით შეამცირებს მგზავრობის მანძილს ვაზიანიდან თელავამდე და ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში.

ორივე პროექტი მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგიის ნაწილია, რომელიც 2010-2013 ფისკალურ წლებს მოიცავს. აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად, ახალი პროექტები ხელს შეუწყობს ინვესტიციებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში. ახალი ინვესტიციები ძირითადად გზების შეკეთებას მოხმარდება, რაც გააუმჯობესებს შიდა კავშირებს ქვეყნის რეგიონებს შორის და გააძლიერებს საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, როლს სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოსთან თანამშრომლობის ახალი სტრატეგია მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ 2009 წლის სექტემბერში დაამტკიცა. ის ითვალისწინებს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (IDA) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ სესხების გაცემას 396 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2010-2013 ფისკალურ წლებში. ეს ქვეყანას ფინანსური კრიზისის დაძლევაში და კონკურენტუნარიანობის გაზრდაში დაეხმარება. საკრედიტო პორტფელი ძლიერი საკონსულტაციო პროგრამით იქნება გამყარებული.

"რედისონში" საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმი გაიხსნა

სასტუმრო "რედისონში" საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმი გაიხსნა. ფორუმი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით მიმდინარეობს. მისასალმებელი სიტყვით სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ იმნაიშვილი, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი მატკავა და ბელორუსის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ვასილ რომანოვი გამოვიდნენ.

როგორც რომანოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ისინი დაინტერესებული არიან საქართველოში ზოგადად ბიზნესის პლატფორმის და ექსპორტ-ინპორტის შესაძლებლობებით.

ბელარუსის დელეგაციის შემადგენლობაში არიან ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლების, ციტრუსის, ხილის, სამედიცინო აღჭურვილობის, გადამზიდავი საშუალებების, ელექტრო-გამანაწილებელი მოწყობილობების, კვების პროდუქტებისა და სხვა სახის პროდუქციის ნაწარმის ექსპორტიორები.

ჯემალ იმნაიშვილის განცხადებით, პირველი ფორუმი საქართველოსა და ბელორუსს შორის შარშან მინსკში გაიმართა, წელს კი არის მეორე შეხვედრა, სადაც ბელორუსი ბიზნესმენები კონკრეტული წინადადებებით არიან ჩამოსული. წინადადებები ერთობლივი საწარმოების ამუშავებას, საქართველოში პროდუქციის შემოტანასა და საქართველოდან ექსპორტს ეხება.

ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ზურაბ ალავიძის ინფორმაციით, ბელორუსი ბიზნესმენების ინტერესი, ძირითადად, საქართველოდან ღვინის, ციტრუსის, ხილის, ელექტრომოწყობილობების გატანას უკავშირდება.

ქართული მხრიდან ფორუმში მონაწილეობენ "ნაბეღლავი", "ბორჯომი," "ნაფარეული", "თბილღვინო" და ასევე სხვა კომპანიები. დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრების გამართვა უშუალოდ ბელორუს და ქართველ ბიზნესმენებს შორის. **ინტერპრესნიუსი**

ვანო მთვრალაშვილი: საცალო ქსელში საწვავზე ფასის მატება მსოფლიოში ნავთობზე ფასის მატებას უკავშირდება

საქართველოს საცალო ქსელში საწვავზე ფასის მატებას ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი მსოფლიოში ნავთობზე ფასის მატებას უკავშირებს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" ვანო მთვრალაშვილმა განუცხადა, სტატისტიკურად საწვავზე ფასის მატება აგვისტოს შუა რიცხვებში დაფიქსირდა. შემდეგ, ოქტომბრის ბოლომდე ფასის მატები არ მომხდარა. ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში კი საცალო ქსელში საწვავის ფასი 5-10 თეთრით გაიზარდა.

"ამის მიზეზი ის არის, რომ მსოფლიოში ნავთობზე ფასი მატულობს. საქართველოში მოქმედი კომპანიები საწვავის შესყიდვას საერთაშორისო ფასებით ახორციელებენ და შემდეგ ახდენენ მის იმპორტს ქვეყანაში. საერთაშორისო ფასები ბენზინისა და დიზელზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტონაზე საშუალოდ 80-100 დოლარით არის გაზრდილი. ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ფასებმა ჩვენთანაც, საცალო ქსელში მოიმატა," - განმარტავს მთვრალაშვილი. მისი თქმით, უახლოეს მომავალში საწვავზე ფასების კიდევ მატება ნავარაუდევი არ არის.

კომპანიას "ლუკოილ ჯორჯიას" ქსელში "ევრო დიზელი" - 1,70 ლარი ღირს, "პრემიუმ ავანგარდი" - 1,80 ლარი, "ევრო სუპერი" - 1,85 ლარი, "ევრო პრემიუმი" - 1,73 ლარი, "ევრო რეგულარი" - 1,65 ლარი. რაც შეეხება "ვისოლის" ქსელს, კომპანიის ბენზინგასამართ სადგურებში "ევრო დიზელის" ფასი 1,75 ლარს შეადგენს, "დიზელ სტანდარტის" - 1,65 ლარს.

ინტერპრესნიუსი

სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ეროვნული ბანკის 91-დღიან, N45 სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ფასიანი ქაღალდები სამმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი - 3.05 პროცენტით, მაქსიმალური - 3.27 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 3.16 პროცენტით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი გაიზარდა

ჩინეთში სამრეწველო წარმოების ზრდისა და მსოფლიოში ნავთობის მოხმარების ზრდის შესახებ ოპეკის პროგნოზის ფონზე, მსოფლიოში ნავთობის ფასები გაიზარდა.

სააგენტო "ასოშეიითედ პრესის" ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.45 აშშ დოლარით გაიზარდა და 77.95 აშშ დოლარი შეადგინა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კი Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 0.23 აშშ დოლარით, 79.28 აშშ დოლარამდე მოიმატა. ამერიკელი ანალიტიკოსების პროგნოზით, ახლო პერიოდში ფასის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოში ყველაზე მეტად რეგულარის ტიპის ბენზინს მოიხმარენ

საქართველოში ყველაზე მეტად მოხმარებადი საწვავი რეგულარის ტიპის ბენზინი და L-62 კატეგორიის დიზელია. როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, მომხმარებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში მთლიანად მოხმარებული ბენზინიდან A-92 ტიპის რეგულარის ტიპის ბენზინზე 81 პროცენტი მოდის, A-95 პრემიუმი ტიპის ბენზინს 17 პროცენტი უჭირავს, A-98 სუპერი ტიპის ბენზინს კი - 2 პროცენტი. რაც შეეხება დიზელის მოხმარებას, ამ თვალსაზრისით ყველაზე პოპულარულია L-62 ტიპის დიზელის საწვავი, რომელიც 77 პროცენტზე ფიქსირდება, მეორე ადგილზეა ევრო დიზელი (50PPM) 23 პროცენტით.

მთვრალაშვილის განმარტებით, აღნიშნული კატეგორიის ბენზინისა და დიზელის პოპულარობას მათი ფასები განაპირობებს. მაგალითად, რეგულარის ტიპის ბენზინი პრემიუმთან შედარებით 15-20 თეთრით ყოველთვის ნაკლები ღირს. ამასთან, საქართველოს ავტოპარკი მოძველებულია და ავტომანქანის მფლობელთა უმეტესობა რეგულარის ტიპის ბენზინის მომხმარებელია.

ანალოგიური ვითარებაა დიზელის საწვავის მხრივაც, L-62 ტიპის ლიტრი დიზელის ფასი 1,55-1,60 ლარია, ხოლო ევრო დიზელის - 1,70-1,75 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

სსფ-ს მორიგმა მისიამ საქართველოში მუშაობა დაასრულა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მორიგმა მისიამ საქართველოში მუშაობა დაასრულა. როგორც "ინტერპრესნიუსს" სსფ-ს საქართველოს წარმომადგენლობიდან აცნობეს, მისია, რომელსაც ედუარდ გარდნერი ხელმძღვანელობდა, საქართველოში ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებას ორი კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში სწავლობდა. მათ შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკში.

მისიის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით, საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ედუარდ გარდნერი ხვალ ბრიფინგს გამართავს. ამასთან, მისიის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, სსფ-ს დირექტორთა საბჭო დეკემბერში საქართველოსთვის მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხს განიხილავს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქართველო დაახლოებით 70 მლნ აშშ დოლარს მიიღებს.

94,6 მლნ SDR-ის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო ტრანში საქართველომ მიმდინარე წლის სექტემბერში მიიღო. თანხის ნაწილი ბიუჯეტის დეფიციტის, ხოლო ნაწილი სავალუტო რეზერვების შევსებას მოხმარდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბჭომ საქართველოსთვის დამტკიცებული Stand-By Arrangement პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 477,1 მლნ SDR-ის დახმარება მიმდინარე წლის აგვისტოში 270 მლნ SDR-ით გაზარდა. საქართველომ სავალუტო ფონდიდან რამდენიმე ტრანში უკვე მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

ქუთაისი და სამტრედია მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში ჩაერთო

ქუთაისის ცენტრალური და სამტრედიის ადგილობრივი არქივები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში ჩაერთო. ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით, ქუთაისსა და და სამტრედიაში მაცხოვრებლებს შეუძლიათ თბილისში მდებარე ცენტრალური და ადგილობრივი არქივებიდან მიიღონ მათთვის საჭირო ცნობები. გარდა ამისა, საარქივო დოკუმენტის მისაღებად იმერეთის რეგიონში ჩასვლა აღარც თბილისელებს დასჭირდებათ. როგორც ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა განაცხადა, ელექტრონული სისტემა გაუმარტივებს მომსახურებას როგორც მოქალაქეებს, ისე ორგანიზაციებს. ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამა თბილისის მასშტაბით რამდენიმე კვირის წინათ ამოქმედდა. ეროვნულ არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ უწევს. მოქალაქეების მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრონულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას ონლაინრეჟიმში იღებს.

სპეციალური პროგრამა ეროვნულმა არქივმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით შეიმუშავა. მომსახურების ელექტრონულ პროგრამაში ეტაპობრივად ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება.

საკუთარი ინფორმაცია

ოქტომბერში 119 003 სანოტარო მოქმედება შესრულდა

საქართველოს ნოტარიუსებმა გასულ თვეში ქვეყნის ტერიტორიაზე 119 003 სანოტარო მოქმედება შეასრულეს. აქედან, თბილისის ნოტარიუსების მიერ - 61650 სანოტარო მოქმედება შესრულდა, დასავლეთ საქართველოს ნოტარიუსების მიერ - 14595, აღმოსავლეთ საქართველოს ნოტარიუსების მიერ - 22638, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნოტარიუსების მიერ - 7843, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნოტარიუსების მიერ - 12277 სანოტარო მოქმედება.

მოქალაქეები სანოტარო ბიუროებს, უმეტესად, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორის დასამოწმებლად და ხელნაწერის ნამდვილობის დასადასტურებლად მიმართავენ.

ნოტარიუსთა პალატამ ზუსტი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა 2007 წლის აპრილიდან დაიწყო, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა გაანალიზება, მოქალაქეებს ყველაზე ხშირად რა სახის მომსახურების გაწევა სჭირდებათ.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე ფიზიკური პირის სასარგებლოდ გადაწყვიტა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის დასკვნა იმის თაობაზე, რომ საგადასახადო ორგანომ ვერ წარმოადგინა სასამართლოში დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც ნათელს მოჰფენდა შალვა ბერიძის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის წყაროსა და საფუძველს.

ამასთანავე, საგადასახადო ორგანომ სასამართლოში ვერ დაადასტურა თუ რა სახის სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა გადასახადის გადამხდელი. როგორც საქმის მასალებით დასტურდებოდა, გადასახადის გადამხდელს სასამართლოში დავის დაწყების დროისთვის ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 239.527.69 ლარის ოდენობით. მოსარჩელე შალვა ბერიძემ სასამართლოში სწორედ უკანონოდ დარიცხული გადასახადის მოხსნა მოითხოვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნია.

საკუთარი ინფორმაცია

"ქალების ბუნტის" საქმის სასამართლო განხილვა

სასჯელაღსრულების დაწესებულების დეზორგანიზება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, სხვისი ქონების განადგურება და დოკუმენტების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება - ეს ის ბრალდებებია, რომლებითაც 38 პატიმარ ქალს ასამართლებენ. საუბარია 2009 წლის 18 აპრილს, ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში მომხდარ ბუნტზე.

"ქალების ბუნტის" სახელით ცნობილი სასამართლო პროცესი უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში და მისი სწრაფად დასრულება გარკვეულწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, დათანხმდებიან თუ არა განსასჯელები პროკურატურის შეთავაზებას მათთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე.

38 განსასჯელი ქალიდან 22-ს ბრალდება შედარებით მსუბუქ დანაშაულს - დაწესებულების დეზორგანიზებასა და დაუმორჩილებლობაში მონაწილეობას ედავება. დანარჩენ 16-ს კი უფრო მძიმე ბრალდებაც აქვს წარდგენილი - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებზე თავდასხმა.

საქმე ისაა, რომ სახლემწიფო ბრალდებამ განსასჯელებს საპროცესო შეთანხმება შესთავაზა - მძიმე მუხლებით ბრალდებულ განსასჯელებს საპროცესო შეთანხმებით 8-წლიანი, ხოლო მსუბუქი მუხლებით ბრალდებულებს 2-წლიანი პატიმრობა. თუმცა ის 22 პატიმარი, რომლებსაც 2-წლიან საპროცესო შეთანხმებას სთავაზობენ, ამ შეთავაზებაზე ჯერჯერობით კვლავ უარს ამბობენ, სანამ სხვა 16 განსასჯელს მძიმე მუხლს არ მოუხსნიან.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებზე თავდასხმაში ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ციხეში დეზორგანიზებისა და დაუმორჩილებლობის ფაქტს აღიარებენ.

სასამართლო პროცესი ჯერჯერობით კვლავ მოწმეთა დაკითხვის ეტაპზეა. იკითხებიან ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები, რომლებიც მომხდარის დეტალებზე საუბრობენ.

როგორც მოწმეები აცხადებენ, ბუნტისას პატიმრების მხრიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებზე თავდასხმა არ მომხდარა, სამაგიეროდ, მოწმეები ადასტურებენ, რომ განსასჯელებს დაუმორჩილებლობა ჰქონდათ გამოცხადებული.

სასამართლოში დაკითხვაზე მყოფ მსჯავრდებულ მოწმეებს კითხვებს თავად განსასჯელებიც უსვამენ და როგორც პატიმარი მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა, ბუნტში მონაწილეების აღშფოთება შეწყალებულთა სიამ გამოიწვია. გაირკვა ისიც, რომ მათ ციხის თანამშრომლებისგან ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ამ სიაში იყვნენ, საბოლოოდ კი, შეწყალებულები არ აღმოჩნდნენ.

საკუთარი ინფორმაცია

ფალსიფიცირებული "გომი", "ორიგინალი" და "თბილისური"

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაციისა და ყალბი აქციზური მარკების დამზადებაგამოყენების და გასაღების ფაქტზე პეტრე პაპაშვილი დააკავეს.

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციით, პეტრე პაპაშვილი სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ზესტაფონში კუსტარულად აწარმოებდა ფალსიფიცირებულ არაყს "გომი ორიგინალს", კონიაკ "თბილისურს" და სხვა სასმელებს. ამავე ინფორმაციით, დაკავებული აგრეთვე, ფერადი ასლგადამღები აპარატის გამოყენებით ამზადებდა ყალბ აქციზურ მარკებს.

სამართალდამცაველების მტკიცებით, მათ კუსტარული საამქროდან ამოიღეს 3000-მდე ყალბი აქციზური მარკა, სარეალიზაციოდ გამზადებული 600 ბოთლი ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელი, დიდი ოდენობით მინის ტარა, ეტიკეტები და სასმელის ჩამოსასხმელი კუსტარული დაზგა-დანადგარები.

"პეტრე პაპაშვილმა სახელმწიფოს ზიანი მიაყენა, შემოსავლების დაბეგვრა არ ხდებოდა, ვინაიდან ალკოჰოლურ სასმელები არაგელაურად მზადდებოდა. ზიანი მიადგათ იმ ბრენდებსაც, რომელსაც პეტრე პაპაშვილი ამზადებდა. ეს ბრენდებია : "გომი", "ორიგინალი" და კონიაკი "თბილისური," - აცხადებს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მამუკა გილიგაშვილი

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციით, ფალსიფიცირებული სასმელი ანტისანიტარულ პირობებში მზადდეოდა.

მომხდართან დაკავშირებით, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 200-ე და 197-ე მუხლებით, რომელიც საერთო ჯამში თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ითვალისწინებს.

საკუთარი ინფორმაცია

უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულებს სასჯელი გაუნახევრა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ პატიმრებს სასჯელი გაუნახევრა. მსჯავრდებულებს ზ.ს.-სა და კ.ქ.-ს ბრალად ედებოდათ ოზურგეთში კულტურის სახლის შენობიდან თუნუქის სახურავის ე. წ. "გოფრისებური" ფირფიტების მოპარვა.

პირველად ზ.ს-მ და კ.ქ-მ დაუდგენელ პირებთან ერთად, სოფელ შემოქმედის კულტურის სახლის შენობიდან 50 ცალი თუნუქის სახურავი მიისაკუთრეს. ზ.ს-მ 5 ცალი ფირფიტა იმავე სოფელში მდებარე ჯართის მიმღებ პუნქტში ჩააბარა, ხოლო დარჩენილი ფირფიტები მიჰყიდეს იმავე სოფელში მცხოვრებ ზ.გ-ს. მოგვიანებით, მათ ანალოგიური დანაშაული კვლავ ჩაიდინეს და კულტურის სახლის შენობის სახურავიდან ამჯერად, 58 ცალი თუნუქის ფირფიტა მიისაკუთრეს და ისიც მიჰყიდეს ზ.გ-ს.

საგამოძიებო მასალების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ზ.გ-სთვის ცნობილი იყო, კ.ქ-ს აღნიშნული ფირფიტები დანაშაულებრივი გზით ჰქონდა მოპოვებული, მან მაინც შეიძინა ისინი 500 ლარად.

ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ზ.გ.-ს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით და დააკისრა ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს იმავე განაჩენით, ჩადენილი ქმედებისათვის ზ.ს-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ხოლო მეორე განსასჯელს კ.ქ.-ს, რომელსაც ადრე ჰქონდა ჩადენილი სხვა დანაშაული, განაჩენთა ერთობლიობით საჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 14 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა - 8000 ლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულებმა კ.ქ.-მ და ზ.ს.-მ ჩაიდინეს ერთი დანაშაული და მათი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-14 მუხლის შესაბამისად წარმოადგენდა "ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას". ამიტომაც, გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა კ.ქ.-სა და ზ.ს.-თვის ქურდობის ორ ეპიზოდში დამნაშავედ ცნობის დადგენილება და თითოეული ეპიზოდისათვის მათ მიმართ სასჯელების ცალ-ცალკე დანიშვნა.

კ.ქ.-ს შეუმცირდა სასჯელი და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 9 თვის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაეენიშნა ჯარიმა ოთხი ათასი ლარის ოდენობით. ხოლო ზ. ს.-ს ასევე შეუმცირდა სასჯელი და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

მიუხედავად იმისა, რომ ზ.გ-ს არ გაუსაჩივრებია განაჩენი, საკასაციო პალატამ ზ.გ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ერთ ეპიზოდად, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - თხუთმეტი ათასი ლარის ოდენობით და იგი მთლიანად გათავისუფლდა პირველი ინსტანციის მიერ დანიშნული სასჯელისგან.

საკუთარი ინფორმაცია

მედვედევს რუსეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევა სურს

მარიკა იაშვილი

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა კრემლის გეორგიევსკის დარბაზში ფედერალური კრების წევრებს თავისი ტრადიციული ყოველწლიური სიტყვით მიმართა.

გამოსვლაში მედვედევმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთში მრავალპარტიული სისტემა ჩამოყალიბდა, ხოლო არჩევნების მიმდინარეობის სამართლიანობის თუ უსამართლობის გასარკვევად ბრძოლა პრეზიდენტმა ელექტრონულ მედიას მიანდო. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ჩამოყალიბებული საარჩევნო სისტემით, საერთო ჯამში, კმაყოფილია.

დმიტრი მედვედევმა მკაფიოდ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში სახელმწიფო სტრუქტურები უფრო გამჭვირვალე გახდება და ორი კანონი, რომლებიც ამ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს, ძალაში 2010 წლიდან შევა.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა კორუფციაა და სწორედ მასთან საბრძოლველად არის აუცილებელი, რომ სახელმწიფო მმართველობა საზოგადოებისთვის ღია იყოს. მისი თქმით, მომავალი წლიდან ინტერნეტში განთავსდება ინფორმაცია სასამართლოების საქმიანობის შესახებ.

რუსეთში არსებული კორუფციის მასშტაბების უკეთ საჩვენებლად პრეზიდენტმა სტატისტიკა გამოიყენა: მისი მონაცემებით, გასული ნახევარი წლის განმავლობაში რუსეთში კორუფციასთან დაკავშირებული 4.5 ათასი საქმე დაფიქსირდა, ამის გამო ხელისუფლების 532 წარმომადგენელი და სამართალდამცავი ორგანოების 700 თანამშრომელი გასამართლდა.

თავისი გამოსვლა დმიტრი მედვედევმა ქვეყნის მოდერნიზაციის საკითხით დაიწყო და აღიარა, რომ კრიზისი რუსეთისთვის უფრო მწვავე აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ბევრი ქვეყნისთვის. პრეზიდენტმა ეკონომიკური რეგულირება ქვეყანაში დემოკრატიის ზრდასთან დააკავშირა. მისი განცხადებით, მომავალში რუსეთმა მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს ტიტული სრულიად სხვაგვარ საფუძველზე დაყრდნობით უნდა მოიპოვოს, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა.

მედვედევის განცხადებით, "საბჭოთა პერიოდში შექმნილი ინფრანსტურქტურა რუსეთს ჯერ კიდევ აძლევს პოზიციების შენარჩუნების საშუალებას, მაგრამ სულ უფრო ძველდება. დადგა დრო, რუსეთი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდეს."

განსაკუთრებული ყურადღება დმიტრი მედვედევმა საგარეო პოლიტიკაზე გაამახვილა და განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის, ამ სფეროში მიმართულება შეიცვალოს. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, მისი ქვეყნის საგარეო კურსი კვლავაც პრაგმატული იქნება, თუმცა მზად არის, პარტნიორებთან წარმატებული თანამშროლობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთ საკითხში თავისი მიდგომა შეცვალოს.

მედვედევმა აღნიშნა, რომ ერთობლივი მიდგომების შემუშავებისთვის არსებობს უნივერსალური მექანიზმი - გაერო. "ბოლო წლების განმავლობაში - ცივი ომის შემდეგ, გაერო პირველად იწყებს პოზიციების გამყარებას და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, ამ პროცესს ხელი შევუწყოთ," - განაცხადა მან.

განსაკუთრებული ყურადღება მედვედევმა საერთაშორისო უსფრთხოებაზე და ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულებაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ამ შეთანხმებაზე მუშაობაა.

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა ისიც აღნიშნა, რომ ახალი შეთანხმება არ არის ნატო-ს წინააღმდეგ მიმართული დოკუმენტი. "ჩვენ ჩვენს საგარეო პოლიტიკას ვიღაცის წინააღმდეგ არ ვაწყობთ," - განაცხადა მედვედევმა, რომელიც გამოსვლაში საქართველოსაც შეეხო. თავის სიტყვაში მან საქართველო აგრესორად მოიხსენია და განაცხადა, რომ უნდა არსებობდეს ინსტიტუტი, რომელიც აგრესორების შეჩერებას შეძლებს: "ჩვენ რომ გვქონოდა ისეთი ეფექტური ინსტიტუტი, რომელიც აგრესორის შეჩერებას შეძლებდა, საქართველოს არ ეყოფოდა თავხედობა, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის წინააღმდეგ ომი დაეწყო," - განაცხადა მედვედევმა.

მაფიის ცნობილი მეთაურები სამართალდამცველების ხელში

ნეაპოლის მაფიის "კამორის" ნუვოლეტას კლანის ლიდერი - 49 წლის ლუიჯი ესპისოტი, ნეაპოლში, ერთ-ერთ ფეშენებელურ ვილაში დააკავეს, სადაც ის სხვა სახელითა და გვარით იმალებოდა.

ესპისოტის, რომელიც 20 ყველაზე საშიში დამნაშავის სიაში იყო შეყვანილი, 2006 წელს სასამართლომ დაუსწრებლად 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მას ბრალად ედებოდა ნარკოტიკების კონტრაბანდა და მისი მეთაურობით ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაული.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტო მარონიმ პოლიციის თანამშრომლებს "კამორის" ერთ-ერთი მთავარი ფიგურის დაკავება მიულოცა და აღნიშნა, რომ 18 თვის განმავლობაში იტალიაში დამნაშავეთა სხვადასხვა დაჯგუფებების 3,6 ათასი წევრი დააპატიმრეს. 15 მათგანი საშიშ დამნაშავეთა სიაში შედიოდა.

ლუიჯი ესპისოტის გარდა, გასულ კვირას იტალიელმა სამართალდამცველებმა დამნაშავეთა კიდევ ერთი დაჯგუფების მეთაურები ძმები რუსოები დააკავეს.

62 წლის პასკუალ რუსო, რომელიც იტალიური მაფიის ერთ-ერთ ნათლიმამად იწოდებოდა, ქალაქ აველინოში, იტალიის პოლიციის სპეცდანაყოფის წევრებმა მოქაცია ალყაში.

პასკუალ რუსოს რამდენიმე მკვლელობისთვის და სხვა დანაშაულებრივი საქმიანობისთვის, რამდენჯერმე უკვე ჰქონდა მისჯილი სასჯელის უმაღლესი ზომა, რაც იტალიური კანონმდებლობით, სამუდამო პატიმრობას გულისხმობს. თუმცა, მაფიის თავკაცი ყველა სასჯელს გადაურჩა.

პასკუალთან ერთად მისი უმცროსი ძმა 47 წლის კარმინეც დააკავეს. კარმინე რუსოზე იტალიელმა სამართალდამცველებმა ძებნა 2 წლის წინ გამოაცხადეს. საქმეში ინტერპოლიც იყო ჩართული.

ასევე ინტერპოლის მიერ იძებნებოდა რუსოების მესამე ძმა - 51 წლის სალვატორე რუსოც, რომელიც პასკუალისა და კარმილეს დაკავებამდე ერთი დღით ადრე, ნეაპოლში დააკავეს და რომელსაც სამართალდამცველები 1995 წლიდან ეძებდნენ.

ცოტა ხნის წინ იტალიელმა სამართალდამცველებმა ორ უკრაინელ ემიგრანტთან მომხდარი ინციდენტისას დააკავეს იტალიური მაფიის "კოზა-ნოსტრას" ერთ-ერთი მეთაური რაფაელე სტოლდერი.

იტალიური "კოზა-ნოსტრას" წევრი რაფაელე სტოლდერი 1992 წელს ყველაზე საშიშ დამნაშავეთა სიაში მოხვდა. იგი იმავე წელს დააკავეს და განსაკუთრებით მძიმე რეჟიმის კოლონიაში მოიხადა სასჯელი. სტოლდერი 2007 წელს გაათავისუფლეს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში იტალიის პოლიციამ მაფიური კლანების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, არაერთი მასობრივი რეიდი ჩაატარა, "კოზა-ნოსტრას" ბევრი წარმომადგენელი დააკავეს და რამდენიმე დაჯგუფების ქონების კონფისკაციაც მოხდა. თუმცა, სტოლდერის დაკავება სამართალდამცველებმა ფართომაშტაბინი სპეცოპერაციების დროს ვერც ერთხელ მოახერხეს.

სამაგიეროდ, პოლიციამ 2009 წლის 5 მაისს, რომში დააპატიმრა იტალიური მაფიის "ნათლიმამა" ჯუზეპე სარნო. 2009 წლის 28 იანვარს ესპანეთში დააკავეს ასევე მაფიის წევრი ანტონიო კაიაცო. 2008 წლის 27 ივლისს - ადრიანო გრაციანო. გარდა ამისა, მიმდინარე წლის 20 მაისს, იტალიის პოლიციამ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის ფარგლებში, დამნაშავეთა დაჯგუფების 68 წევრი დააკავა.

"კოზა ნოსტრა" იტალიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მაფიოზური ორგანიზაცია მე-18 საუკუნიდან არსებობს. მოგვიანებით, იგი რამდენიმე კლანად დაიყო. იტალიელი სამართალდამცველები "კოზა ნოსტრასა" და მისი შვილობილი მაფიოზური კლანების წინააღმდეგ ფართომასშტაბიან სპეცოპერაციებს აწყობენ, თუმცა მათი დასუსტება ვერ მოახერხეს.

არსებული ინფორმაციით, "კოზა ნოსტრას" არალეგალური ბიზნესის ყოვლწლიურმა შემოსავალმა 90 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც ქვეყნის შიდა პროდუქტის 7 პროცენტია.

რვა ჰაკერს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს

აშშ-ში რვა ჰაკერს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. ამერიკელი სამართალდამცველების მტკიცებით, ყალბი საბანკო ბარათების მეშვეობით, მათ გასული წლის ნოემბერში სხვადასხვა ანგარიშებიდან 9 მილიონ დოლარზე მეტი მოხსნეს. შესაბამისი გადაწყვეტილება ატლანტის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ გამოაცხადა.

ჯორჯიის ჩრდილოეთ ოლქის პროკურორის სალი კუილიან იესტის განცხადებით, ბრალდებულებმა მოიპარეს ინფორმაცია შრომის ანაზღაურების ბარათებთან დაკავშირებით, რომელიც ატლანტაში მოქმედმა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უმსხვილეს "შოტლანდიის სამეფო ბანკს" ჰქონდა გაცემული.

44 ყალბი ბარათის მეშვეობით მათ მსოფლიოს 280 ქალაქში მილიონობით დოლარი გაინაღდეს.

გამოძიების მიერ დადასტურებულია, რომ 5 დამნაშავე არის ესტონელი, ერთი რუსი და ერთი მოლდოველი. კიდევ ერთი დამნაშავის მოქალაქეობა არ სახელდება.

ესტონეთის პოლიციას უკვე დაკავებული ჰყავს 4 ეჭვმიტანილი. ხოლო აშშ-ს ხელისუფლებამ დაიწყო პროცედურა ერთ-ერთი მათგანის ესტრადაციასთან დაკავშირებით.

ამერიკის ელჩი ავღანეთში იქ დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის წინააღმდეგია

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ავღანეთში კარლ აიკენბერი ოფიციალურ მოხსენებაში თეთრ სახლს მოუწოდებს, არ გაგზავნოს ავღანეთში დამატებითი სამხედრო კონტინგენტი. წერილში, რომლის შინაარსმაც პრესაში გაჟონა, (ლოგიკურად ეს ალბათ იყო ინფორმაციის "სანქცირებული გაჟონვა") ამერიკის ელჩს ეჭვი შეაქვს ჰამიდ ყარზაის მთავრობის კომპეტენტურობასა და მის პატიოსნებაში. დიპლომატი შეშფოთებულია ავღანეთის მთავრობაში კორუფციის მასშტაბებით. აიკენბერის აზრით, დამატებითი ჯარების გაგზავნა "ცუდი იდეაა". თავის დროზე აიკენბერი სამხედრო პირი იყო და თვითონ ხელმძღვანელობდა ამერიკის ჯარებს ავღანეთში. აიკენბერის წერილი თეთრ სახლში სწორედ იმ დროს გაიგზავნა, როდესაც ჯარების გაგზავნის შესახებ ვაშინგტონში ცხარე დებატები მიმდინარეობს და ბარაკ ობამა ამ თემაზე სხვადასხვა უწყებების თანამდებობის პირებსა და ექსპერტებთან "თათბირს თათბირზე მართავს". ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკის ელჩის ამ წერილმა გააცოფა აშშ-ს ჯარების სარდალი ავღანეთში გენერალი სტენლი მაკ-კრისტალი, რომელსაც ეკუთვნის კონტინგენტის გაზრდის იდეა. გენერალი დამატებით, დაახლოებით, 40 ათასი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას თხოულობს.

ოპონენტები პრეზიდენტ ბარაკ ობამას ამ ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებენ, რომ იგი მსგავს სერიოზულ საკითხებზე ძალიან ნელა იღებს გადაწყვეტილებებს. თვითონ ობამას კი მიაჩნია, რომ არ შეიძლება ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება იმ დროს, როდესაც საქმე ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლეს ეხება. დღეს ავღანეთში, დაახლოებით, 68 ათასი ამერიკელი სამხედრო პირი იმყოფება, იქვე მსახურობს ნატოს სხვა ქვეყნების კიდევ 40 ათასი ჯარსკაცი.

"ჰეზბოლა" ობამას ტყუილში ადანაშაულებს

ლიბანის შიიტური მოძრაობა "ჰეზბოლას" ლიდერმა შეიხ ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაპირება მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ, ტყუილი აღმოჩნდა. ნასრალას სიტყვებით, ამერიკამ დაამტკიცა თავისი ერთგულება ისრაელის მიმართ, რადგან აგრძელებს მის სამხედრო მხარდაჭერას. აშშ-მ აგრეთვე უკან დაიხია თავისი პოზიციიდან მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ებრაულ დასახლებებში ახალი მშენებლობების საკითხში. ნასრალას სიტყვებით, არაბული სამყარო თავისი პრობლემების გადაწყვეტისას ვერ დაეყრდნობა ამერიკას, რადგან სწორედ ამერიკაა ამ პრობლემების მიზეზი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნასრალას მიერ გამოთქმული ასეთი კრიტიკა ყველაზე მწვავეა იმ მოსაზრებებს შორის, რაც ჰეზბოლას საერთოდ გამოუთქვამს.

შეიხი ჰასან ნასრალა მიიჩნევს, რომ ამერიკაში ობამასა და ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შედეგად გაჩენილი იმედები ტყუილი აღმოჩნდა. მისი სიტყვებით, "შავკანიანი პრეზიდენტი მესამე მსოფლიოს წარმომადგენელი ქვეყნიდან უბრალო ტრიუკი აღმოჩნდა, რომლის ეფექტიც უფრო მალე დამთავრდა, ვიდრე ველოდით".

რამდენიმე დღის წინ ისრაელის არმიის მეთაურმა გაბი აშკენაზიმ განაცხადა, რომ "ჰეზბოლას" აქვს რაკეტები, რომლებიც შეიძლება ისრაელის ყველა დიდ ქალაქს მიაწვდინოს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამ დაჯგუფებისთვის განკუთვნილი რაკეტებითა და სხვა იარაღით დატვირთული გემი ისრაელმა ჩაიგდო ხელში. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ეს იყო შეიხ ნასრალას მკვეთრი გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი.

პეკინი დალაი-ლამასთან ოფიციალურ კონტაქტებს აპროტესტებს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ცინ განმა განაცხადა, რომ პეკინი სხვა სახელმწიფოების ოფიციალური პირების დალაი ლამასთან ურთიერთობის წინააღმდეგია. ჩინელი დიპლომატის კომენტარი მოჰყვა თეთრი სახლის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეიძლება შეხვდეს დალაი-ლამას ჩინეთში თავისი ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, რომელიც 15-18 ნოემბერს შედგება. ოქტომბერში ობამა იმის გამო გააკრიტიკეს, რომ არ შეხვდა დალაი ლამას ამ უკანასკნელის ვაშინგტონში ვიზიტის დროს.

თეთრი სახლის აღნიშნული ნაბიჯი მარტივი დიპლომატიური თამაშია. ობამა არ ხვდება დალაი-ლამას პეკინში ვიზიტამდე, რათა ჩინეთის ხელისუფლება არ გააღიზიანოს და... ცხადდება, რომ შეიძლება ვიზიტის შემდეგ შეხვდეს. ეს არის ჩვეულებრივი ზეწოლა ჩინეთზე, რომელმაც უნდა იგულისხმოს, რომ დალაი-ლამასთან აშშ პრეზიდენტის შეხვედრა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად დამყოლი იქნება ამ ქვეყნის ხელისუფლება ობამასთან ოფიციალური მოლაპარაკებების დროს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ამერიკა და რუსეთი "ტოპოლის" რაკეტებზე ვერ თანხმდებიან

თამთა კახაძე

მობილურ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზე კონტროლის მექანიზმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ამერიკა და რუსეთი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ხელშეკრულების ახალი ვერსიის შეთანხმებას ვერ ახერხებენ. ვაშინგტონი მოსკოვს სთავაზობს, "ტოპოლის" ტიპის მობილურ რაკეტებზე კონტროლი შენარჩუნდეს და გარკვეულწილად გაძლიერდეს კიდეც, მოსკოვი კი "ტოპოლის" ცალკე კატეგორიაში გადაყვანის წინააღმდეგია.

მხარეებს შორის უთანხმოების მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ვაშინგტონს აღნიშნული ტიპის მობილური რაკეტები არ გააჩნია, რაც ნიშნავს, რომ წინადადებას ცალმხრივი ხასიათი აქვს. აშშ-მ უარი თქვა მობილური რაკეტების "მიდჯეტმანის" შექმნის დაფინანსებაზე 1991 წელს, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების პირველი ვარიანტის ხელმოწერის შემდეგ.

ამერიკა-რუსეთს შორის ახალი შეთანხმების მომზადების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ 12 ნოემბრის ღამეს გახდა ცნობილი, როდესაც ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ელენ ტოშერმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ძალიან იმედგაცრუებულია მოსკოვის პასუხით იმ წინადადებათა პაკეტზე, რომელიც უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ჯეიმს ჯონსონმა 10 დღის წინატ წარმოადგინა. ტოშერის ეს განცხადება დიდი ხნის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როდესაც დოკუმენტის მომზადების პროცესში ერთ-ერთი მხარე მეორე მხარის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს.

ადრე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები სხვა პუნქტებსაც ასახელებდნენ, რამლებზეც მხარეები ვერ თანხმდებოდნენ. ეს არის ბირთვული ქობინების გადამტანების ოპტიმალური რაოდენობა და ასევე ქობინების დათვლის პრინციპი. გაზეთ "კომერსანტის" განცხადებით, მხარეები შეთახმდნენ, რომ დოკუმენტზე მუშაობის წვრილმანებს საიდუმლოდ შეინახავდნენ და ამ პირობას მკაცრადაც იცავენ. გაზეთების წყაროებმა კრემლში და საგარეო საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტებს რაიმე დეტალის გამომჟღავნებაზე უარი განუცხადეს.

ჟურნალისტების მიერ გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, ტოშერის რეაქცია არ შეიძლება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მწვავე უთანხმოების მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ დოკუმენტის დროულად მომზადებას და ხელმოწერას კვალავაც ოპტიმიზმით უყურებენ.

პირველ შეთანხმებას ვადა 5 დეკემბერს ეწურება. რუსული და ამერიკული დელეგაცია ახალი შემცვლელი დოკუმენტის ტექსტზე შეთანხმების მიღწევას ჟენევაში ცდილობს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ თემას ფართოდ აშუქებენ. "ვრემია ნოვოსტეის" განცხადებით, "სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ახალი ხელშეკრულების ტექსტზე ამერიკის და რუსეთის აზრები მოულოდნელად დაშორდა ერთმანეთს". "კომერსანტის" განცხადებით, "მხარეებს შორის შეთახმების მიღწევის იმედი ნამდვილად არსებობს, რადგან ამერიკელი და რუსი დიპლომატები უკვე, ყოველი შემთხვევისთვის, დოკუმენტის ხელმოწერის ადგილზე შეთანხმდნენ".

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ "მოლაპარაკებების პროცესი არ შეფერხებულა". 14-15 ნოემბერს სინგაპურში აზია-წყნარი ოკეანის სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანების სამიტზე მედვედევი-ობამას შეხვედრა იგეგმება, რომლის მთავარი თემა ახალი დოკუმენტის მომზადება იქნება.

"რუსეთის მიერ ბირთვული შეიარაღების შემცირება გარდაუვალია. მოლაპარაკებებს მხოლოდ ზოგიერთი ტექნიკური საკითხი აფერხებს. ამერიკელებს სურთ ქობინების მხედველობაში მიღება "ფაქტობრივად", ჩვენ ვთავაზობთ ზედმეტი შემოწმებების, ზედმეტი პროცედურების გაუქმებას. აქ შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ორმხრივი დათმობა," - განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორმა სერგეი როგოვმა. მისი აზრით, კომპრომისი შესაძლებელია და ახალ შეთანხმებასაც ხელი მოეწერება. "სხვაგვარად "გადატვირთვა" ჩაიშლება. ეს კი არც ვაშინტონს აძლევს ხელს და არც მოსკოვს".

გავლენიანი ადამიანების სიის სათავეში ამერიკისა და ჩინეთის მეთაურები დგანან

11 ნოემბერს ამერიკულმა საქმიანმა ჟურნალმა "ფორბსმა" ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია გამოაქვეყნა, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა უდგას სათავეში. სიის შემდგენლებმა მეორე ადგილი ჩინეთის ლიდერ ხუ ძინტაოს მიაკუთვნეს. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი რეიტინგში მესამე ადგილზეა.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების ხუთეულში შევიდნენ: მეოთხე ადგილზე - ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკე, და მეხუთე ადგილზე - "გოოგლეს" დამფუძნებლები სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი. ლიდერთა ათეულს "მაიკროსოფთის" დამაარსებელი ბილ გეითსი ასრულებს.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა სიის მეორე ნახევარში დაიმკვიდრა ადგილი და მას პრაქტიკულად ევროპის ყველა ლიდერმა გაუსწრო. 43-ე ადგილზე გასულ მედვედევზე წინ არიან იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი (მე-12 ადგილი), გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი (მე-15 ადგილი), დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინიტრი გორდონ ბრაუნი (29-ე ადგილი). ერთადერთი ევროპელი ლიდერი, რომელსაც გავლენიანობის რეიტინგით პრეზიდენტმა მედვედევმა გაუსწრო, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზია (56-ე ადგილი). უფრო მეტიც, მედვედევს რეიტინგით რუსეთის ვიცე-პრემიერმა იგორ სეჩინმაც კი აჯობა - მან 42-ე ადგილი დაიკავა.

სხვა ცნობილ ადამიანებს შორის, რომლებიც ჟურნალის რეიტინგში მოხვდნენ, აღსანიშნავია კორპორაცია "ეიპლის" (Apple) ხელმძღვანელი სტივ ჯობსი (57-ე ადგილი); "ფიფას" პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი (53-ე ადგილი), მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი (მე-7 ადგილი), ასევე მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი უორენ ბაფეტი (მე-14 ადგილი).

ასევე აღსანიშავია, რომ ამერიკული ჟურნალის რეიტინგში მოხვდა ტერორისტული დაჯგუფება "ალ კაიდას" ლიდერი ბინ-ლადენი, რომელსაც პატივად ერგო სიაში 37-ე ადგილის დაკავება. აგრეთვე, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, რომელმაც 24-ე ადგილი მიიღო და ცნობილი მექსიკელი ნარკობარონი, კარტელ "სინალოას" ლიდერი და კრიმინალი, რომელზეც მექსიკაში სერიოზული ძებნაა გამოცხადებული, ხოაკინ "ელ ჩაპო" გუსმანი. (41-ე ადგილზე).

რეიტინგის თანმხლებ სტატიაში ნათქვამია, რომ სიაში შესაყვან კანდიდატებს რემდენიმე პარამეტრის გათვალისწინებით არჩევდნენ. ითვალისწინებდნენ იმ ადამიანთა რაოდენობაა, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ კანდიდატის გავლენა. გარდა ამისა, ყურადღება ექცეოდა ფინანსურ შესაძლებლობებსაც. ფასდებოდა სიაში შესაყვან კანდიდატთა შესაძლებლობა - გავლენა მოეხდინა სხვადასხვა სფეროზე. მაგალითად, იტალიის პრემიერ-მინისტრმა, მედიამაგნატმა და საფეხბურთო კლუბ "მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ მე-12 ადგილი "დამსახურებათა ერთობლიობით" მიიღო.

ამასთან, ყურადღება ექცეოდა იმას, თუ რამდენად ფართოდ სარგებლობს სიაში მოხვედრილი პიროვნება თავისი გავლენით. ჟურნალის თანახმად, საკუთარი გავლენის ფართოდ გამოყენების მაგალითია ვლადიმირ პუტინი, რომელიც "ოლიგარქებს ციხეში აგზავნის, მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯარები შეჰყავს და დროდადრო ევროპას გაზს უკეტავს."

მოამზადა თამთა კახაძემ

CMYK - 9

საჩუქრები მთელი წელი!

ნოემბერი-დეკემბერი

გადაიხადეთ ნაკლები!

სტანდარტულს

-1%

იპოთეკურ,
სამომხმარებლო,
ავტო სესხებზე!

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

CMYK - 9

კომენტარები მთავარზე

მედიარუსეთი

ლაშა ბუღაძე

რუსები დგანან იმერეთში, ახალგორში, ცხინვალში, სოხუმში და სხვაგან. ჩვენ კი ძალა არ გვყოფნის, რომ ეს ხალხი (უპირველეს ყოვლისა, რუს ჯარისკაცებს ვგულისხმობ) თავის სახლებში დავაბრუნოთ. და თან მარტო ჩვენ კი არა, საწყალ ქართველებს, არამედ მუდმივად შეშფოთებულ-შეშინებულ დასავლეთსაც. ესენიც ჩვენსავით უსუსურები ყოფილან...

მაგრამ რა მოხდება, რომ ჩვენი მედიიდან მაინც *გავიყვანოთ* რუსეთი? ვერ ვხვდები, როგორ უნდა მოვიშოროთ კრემლი, დუმა და რუსული ტანკი, როცა ჩვენ თვითონ ვეპოტინებით ამ ყველაფერს?

მე არ ვსაუბრობ რუსოფილიაზე, იმ ხალხზე, რომელიც როცა თვრება, რუსულ სიმღერებს უკვეთავს რესტორნის დამკვრელებს, ან იმათზე, ვისაც რიაზანოვის "ს ლიოხკიმ პარომ" თავის ბრეჟნევისდროინდელ ბავშვობას ახსენებს, და, ცხადია, არც იმათზე, ვინც რუსების მოლოდინში გაიყურსა შარშანდელი ომის დროს, - მე ვლაპარაკობ ჩვენი ხელისუფლების ერთფეროვან რუსოფობიულ პათოსს აყოლილ ჟურნალისტებზე.

მათთვის *რუსეთია* მსოფლიო. მაინც რუსეთი! რა ხდება დანარჩენ მსოფლიოში, ეს დიდად არც აღელვებთ, *მსოფლიოს* ჩვენს არხებზე ორი-სამი წუთი ეთმობა, მეტი არა (სპორტამდე და ამინდის პროგნოზამდე), ძირითადი დრო კი რუსეთს ეკუთვნის. ჩვენ ვიცით (ვიზეპირებთ) რა თქვა ზატულინმა, როგორ დაიმუქრა სტროგანოვი (თუ რაღაც ამდაგვარი!), რა იეშმაკა ილიუხინმა, როგორ განრისხდა კოკოვცევი, რა წამოცდა სლუცკის დუმას ფოიეში, როგორ შეგვაშინა (მეათასედ) ჟირინოვსკიმ, როგორ დაგვიცვეს "კარგმა" რუსმა ექსპერტებმა - გელფელბაუმმა და როპოპორტმა (რაღაც ასეთი გვარები არა აქვთ?), მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს *სად არის* (სინამდვილეში) პოლიტიკა და, რაც მთავარია, მსოფლიო!

როგორც ჩანს, ქართველი პოლიტ-ჟურნალისტები დღე და ღამე რუსულ საიტებში იქექებიან - RU.-დან დანახულ სამყაროს ჭვრეტენ და ჯიუტად არ სწავლობენ სხვა ენებს! ამ დროს, რა მცირეა ეს RU. მთელ პოლიტ-პლანეტასთან შედარებით!

ქართველი ტელემაყურებელი ამქვეყნად ყველაზე უბედური ტელემაყურებელია! ამ ჭეშმარიტებაში უკვე დიდი ხანია დავრწმუნდი. მის ტელევიზორში ან ზვიაგინცევია (რუსეთის პირობითი სახე), ან დედ-მამის მკვლელი (ცოცხლად შემჭმელი?) ახალგაზრდა, ან პერანგზე ღილებშეხსნილი, დაუღალავად და ურეგლამენტოდ მოლაპარაკე პრეზიდენტი და ანკი მტკვარში დამხრჩვალი არხეინი მსმელი... ზაფხულში, ყოველ შემთხვევაში, ასეთი *პაუზა* გვქონდა: რუსეთის, ქართული პოლიტიკის და მკვლელების ამბები შემოდგომისთვის გადაიდო, ეს სამი თვე მტკვარში ჩავარდნილებზე *გადაგვატარეს*...

ისე არ გავა ორშაბათიც, რომ პროფ. ლადარიამ იჟევსკში მოღვაწე იღუმენი ვსევოლოდი ან ვინმე ასეთი არ ახსენოს, ციტატები არ მოიყვანოს მისი ქადაგებიდან და მის მავნე გავლენაზე არ ისაუბროს... გეგონება, ზატულინი და კოკოშინი გვაკლდეს, ეხლა ერთმორწმუნე იდიოტების აფორიზმებსაც გვაზეპირებინებენ.

ასე რომ, იქნებ რაღაცნაირად მაინც დაგვეზოგა თავი: თუკი ქვეყნიდან ვერა, მედიიდან მაინც *გაგვეტანა* რუსეთი?

აქცენტი

ჩარჩოში ჩასმული გემოვნება

კულტურის პოლიტიკის ახალი აქცენტი

სოფო კილასონია



ამ სტატიისთვის ძალიან ბევრი ვისაუბრე იმაზე, რაც აქამდე არასდროს ჩემი სტატიების თემა არ გამხდარა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ ამის დროც დადგა. არასდროს დავიჩემებდი ექსპერტობას პოპ მუსიკაში და არც იმის ამბიცია მექნებოდა, ქართული პოპ მუსიკის მნიშვნელობაში მკითხველი დამერწმუნებინა. ეს არ გამომივიდოდა, იმიტომ, რომ ამის თავად არ მჯერა, ისევე როგორც არ მჯერა იმისა, რომ ამ ჟანრის განვითარებას სადმე, მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის კულტურის პოლიტიკაში პრიორიტეტული როლი ენიჭება. მაგრამ დღევანდელი თემა ჩემი გამოქექილი არ გეგონოთ, რადგანაც რუბრიკაში "აქცენტი" ძირითადად კულტურის პოლიტიკის, ხშირად ქართული კულტურის აქცენტებზე ვწერ, ფაქტია, რომ თემა - ქართული პოპ მუსიკა კულტურის პოლიტიკაში და შესაბამისად, ქართულ პოლიტიკაში აქტუალურია და მეც ვერსად გავექეცი. ამას მოჰყვა კიდევ ხანგრძლივი საუბარი გემოვნებაზე და განცდა იმისა, რომ ახლა სულ სხვა ავტორის სტატიას ვწერ, კიდევ უფრო გამიმძაფრდა.

ორი კვირის წინ ამავე რუბრიკაში დავწერე წერილი, რომლის ნახევარიც "რივერდანსის" ამბავს და დავით ოქიტაშვილს, მაშინ ჯერ კიდევ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ეხებოდა. მხოლოდ ეხებოდა, თუმცა სტატია მასზე არ ყოფილა, როგორც ეს მკითხველთა დიდმა უმრავლესობამ აღიქვა. ის - "სიცრუესა და სიმართლეს შორის" კონკრეტული მაგალითით რამდენიმე ტენდენციას წარმოაჩენდა, განსაკუთრებით კი ერთს. იმას, თუ როგორ ვარგებთ სამსახურებს, დეპარტამენტებსა და ზოგადად საქმეს ადამიანებს, თანაც კონკრეტულ ადამიანებს და არ ვიქცევით პირიქით, რაც არა თუ შედეგიანს გახდიდა საქმეს, არამედ საქმისადმი პასუხისმგებლობით იქნებოდა გამოწვეული. დღეს ზუსტად ვიცი რომ ეს ტენდენცია ვითარდება არა "შეუცვლელი ადამიანებისთვის" დაშვებული გამონაკლისების სახით, არამედ ის ქართული საზოგადოების სენია. დავით ოქიტაშვილი "წავიდა", მაგრამ თავის დროზე მისთვის შექმნილსა და გამოგონილ დეპარტამენტს დღეს სხვა ადამიანი ითავისებს. მაგრამ ვინ თქვა რომ პრობლემა მხოლოდ ოქიტაშვილსა და მის მიერ ორგანიზებულ და კრახით დასრულებულ პროექტში გახლდათ?! მოკლედ, დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები, სათაური და სამინისტროს შიდა სტრუქტურა ერთმანეთთან იდენტიფიკაციას ვერ ახდენს, დღეს უკვე ახალ ხელმძღვანელს ეგუება. თუმცა არა, უფრო პირიქით, ქალბატონი მარინა ბერიძე ცდილობს ეს დიდი დეპარტამენტი თავისი სამართველოებიანად საკუთარ კომპეტენციებთან დააახლოოს და შესაბამისად, გაითავისოს.

ეს თემა და საუბარი მარინა ბერიძესთან ჩემი სტატიის მხოლოდ ერთი თავი უნდა ყოფილიყო, თუმცა საუბარი იმდენად საინტერესო გამოვიდა...

დავიწყეთ იმით, რაც პირადად მე ყველაზე მეტად მაინტერესებდა და რამაც სამინისტროში მიმიყვანა. რადგან დეპარტამენტი არ გაუქმდა და რადგან მან ფერი ოდნავადაც არ იცვალა, გადავწყვიტე გავრკვეულიყავი, თუ რა ფუნქცია ჰქონდა მას - კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტს, მაშინ როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი თუ წვრილი ღონისძიებები, რომლებსაც სამინისტრო აფინანსებს, ანდა ორგანიზებას უკეთებს, ძირითადად, სულ სხვა დეპარტამენტების მიერ ხორციელდება. კონკრეტულად: საერთაშორისო და რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტის, ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ. ე.წ, ოქიტაშვილის დეპარტამენტი, მიუხედავად ძალიან ზოგადი და მნიშვნელოვანი სათაურისა ჩაბეტონებული ვარსკვლავების გარდა ყოველთვის ასოცირდებოდა შოუ ბიზნესთან. ეს იმიტომ რომ ამ ინსტიტუციაში მოძრაობდნენ და მოძრაობენ ამ სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები...

თუმცა ასოციაციები გვერდზე იყოს, ფაქტი ის არის, რომ ჩემს მიერ ამოჩემებული დეპარტამენტი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული რუკის იერარქიულ სისტემაში უთანაბრდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმიანობის დეპარტამენტს და ბევრად მაღლა დგას საერთაშორისო და რეგიონალური პროგრამების და რაც მთავარი, ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტებზე, ანუ მაღლა იმაზე, რომელიც პასუხისმგებელია ლიტერატურაზე, თეატრზე, მუსიკაზე, სახვით ხელოვნებაზე (სამმართველოების სახით) და განათლებაზე ყველა ამ სფეროში. შესაბამისად, აღნიშნულ დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელს, ანუ ამჟამად უკვე ქალბატონ მარინა ბერიძეს სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონი მარინა ამ დეპარტამენტს სახელსა და ფუნქციებს არ შეუცვლის. რასაც, სხვათა შორის, კიდევაც აპირებს:

"ფუნქციებს რომ ვერ ვხდები, ვცდილობ ახალი კონცეფცია შევიმუშაო. დაახლოებით თავში მაქვს ეს ახალი კონცეფცია. ამ ერთ დეპარტამენტში არის ღონისძიებათა ხელშეწყობის სამმართველო, ღონისძიებათა მარჯვენა ხელის დაჭერის სამართველო... ვერ გავიგე. მე მაინც ასე ვხედავ, რომ ეს დეპარტამენტი უნდა ემსახურებოდეს პოპულარული მუსიკის პოპულარიზაციას, რომლის საქმეც ძალიან ცუდად გვაქვს, ანუ მასკულტურის და პოპ მუსიკის, რაც ერთი და იგივეა. იმიტომ რომ დანარჩენი სფეროები დალაგებულია ქვეყანაში. კლასიკას თავისი პატრონი ჰყავს, ჯაზს თავისი, როკს თავისი, თეატრს თავისი, ეს სფეროები უკვე დალაგებულია. მგონია, რომ აქ უნდა გაკეთდეს დეპარტამენტი, რომელიც იმუშავებს იმაზე, არა შოუ ბიზნესისთვის, არამედ იმისთვის, რომ პოპულარული მუსიკა ავიდეს მაღალ რანგში და იყოს გაკეთებული მაღალი გემოვნებით. მე ასე მგონია, ეს რომ გავაკეთოთ, საგანმანათლებლო ამბავიც უნდა დავიწყოთ. ანუ ნიჭიერი ახალგაზრდები უნდა გავუშვათ საზღვარგარეთ სასწავლებლად, ჩამოვიყვანოთ უცხოელი პროდიუსერები და პროდიუსერების სკოლა უნდა შევქმნათ.

- ანუ დეპარტამენტი ზოგადი სათაურით დაკონკრეტდება პოპ მუსიკის მიმართულებაზე?

- მე ეს მიმართულება მომწონს. მე ჯერ არ შევხვედრილვარ ჩამოყალიბებული კონცეფციით მინისტრს, მაგრამ ჩემი ხედვა მაქვს. რასაკვირველია, ეს არის ჯერ ფრაგმენტული. მაგრამ ვიცი რომ საპროდიუსერო ბაზარი ჯერ არ გვაქვს, მუსიკალური კრიტიკა არ არსებობს საქართველოში, მით უმეტეს ამ დარგში, ვიცი რომ ახალგაზრდა მომღერლებს, ახალგაზრდა კომპოზიტორებს არანაირი ხელშეწყობა არ აქვთ და ინტერესი არ აქვთ არც წერის, არც რამის კეთების. თუ ამას რაღაცნაირად დავძრავთ და ახალ პროდუქციას შევქმნით, რომელსაც ექნება კარგი გემოვნების სუნი, მე ვიქნები ბედნიერი. მაშინ ვიტყვი რომ რაღაც გავაკეთე. მე თითქმის ყველა დიდი ქართველი კომპოზიტორის საღამო ან იუბილე მაქვს გამართული, მაგრამ ჩვენ თუ ახალგაზრდა არ გავზარდეთ ქართულ ეროვნულზე, მაგრამ ასევე უცხოურზეც... მე რომ კონსერვატორიაში მოცარტი, ლული, გლუკი და ჰაიდნი არ მესწავლა და მესწავლა მხოლოდ ფალიაშვილი, არ შევდგებოდი და ვერავინ ვერ შედგებოდა როგორც მუსიკოსი. სხვა კულტურებსაც უნდა შევეხოთ და ვისწავლოთ კარგად, სხვები რას აკეთებენ. ტრაგედია არ უნდა იყოს ქართველის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული სიმღერა. ქართულიც უნდა იყოს და სხვაც. ეს ხაზი მაწუხებს, მაწუხებს ისიც, რომ მინდა გავაკეთო პოპულარული მუსიკის, პოპულარული სიმღერის კონკურსი და ეს უნდა იყოს საერთაშორისო. ეს ძალიან წევს დონეს. იქ ორი ქართველი რომ მიიღებს მონაწილეობას დონე ძალიან აიწევს. ვისზე ნაკლები ვართ? "სლავიანსკი ბაზარზე"? "იურმალაზე"? აბსოლუტურად სხვა შეიძლება გაკეთდეს და ბევრად უკეთესი.

- ალბათ იცნობთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას. რამდენად ერევა კულტურის სამინისტრო სხვაგან ამ მიმართულებაში? და არსებობს მიზანმიმართულად გემოვნების ჩამოყალიბების პროგრამები? თუ ეს თანდათანობით ხდება? გემოვნებას ერთი მუსიკალური მიმართულება ვერ აყალიბებს ალბათ...

- დიახ, თანდათანობით, მაგრამ ამ სიტუაციაში, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენთვის დამღუპველია ცუდი გემოვნება. ბრიტანეთი იმხელაა, ის ყველაფერს იტანს. ავიღოთ იგივე "ჯეოსტარი", ლიცენზიის შეძენისას ვუხსნიდით ბრიტანელებს, რომ არჩევანის უფლება აჯობებდა ჟიურის ჰქონოდა, რადგანაც მეგობრები, ნათესავები... მაშინ მიპასუხეს, რომ თუ ასეა საქმე, ჩვენ არ ვყოფილვართ ამ პროექტისთვის მზად. ბრიტანელი ერთ ცენტს არ დახარჯავს, თუ არ მოსწონს. ამიტომაც ვიღაცამ და მით უფრო კულტურის სამინისტრომ რაღაც ჩარჩოში უნდა ჩასვას გემოვნება. მე ძალიან მინდა, რომ როცა ფესტივალებზე მიდიან, აქ გაიარონ შემოწმება...

- შევცდი, როცა გემოვნება ვახსენე. მაინტერესებს, რამდენად ერევიან სახელმწიფო ინსტანციები პოპ მუსიკაში, თუნდაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე. აღარ გვინდა ევროპასთან შედარება. იქ აბსოლუტურად სხვა სისტემები მუშაობს.

- პოსტსაბჭოთაში ამ სფეროში უფრო ბიზნესია ჩართული. ჩვენც უნდა მოვიზიდოთ აუცილებლად... საქეიფო სიმღერა არ უნდა გახდეს ფილარმონიის რანგში აყვანილი. მას თავისი ნიშა უნდა ჰქონდეს.

- რამ, ანდა ვინ გამოიწვია ის, რომ საქეიფო სიმღერა დიდ სცენაზეა ?

- არ იყო კულტურის პოლიტიკა ალბათ. "ჯეოსტარს" დავუბრუნდები, - ხარისხიანი მიიღო ყველამ, რეგიონმაც, ვერამაც, ვაკემაც...

- საზოგადოებას ვერ დავაბრალებთ ?

- ვერა. უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას ხარისხიანი და ის აუცილებლად იგრძნობს განსხვავებას...

..."რუსთავი 2"-დან არ მოვდივარ და არც წავალ. იქ მუსიკალური პროდიუსერი ვარ. მე რომ რეპერტუარი არ ვაკეთო მოვკვდები, ეს მიყვარს ყველაზე მეტად და თანაც ამას მოაქვს რეზულტატი. ჩემს ცხოვრებაში არ მიმუშავია საჯარო სამსახურში.

- რატომ დათანხმდით შემოთავაზებას?

- იმიტომ რომ მგონია, ბევრი რამის შეცვლა გახდება შესაძლებელი.

***

საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელდა. წარსულს გადავხედეთ. განათლებას კონსერვატორიაში, პაატა ბურჭულაძის კონცერტმეისტერობის ხანას. შემდეგ მძიმე 90-იან წლებს და ავანტურას, რომელიც საკუთარ თავს დაუსახა, ბედი ეცადა ესტრადაში. შემდეგ დასახელდნენ გვარები, რომელთა სცენაზე გამოჩენასა და ჩამოყალიბებაში ქალბატონ მარინას წვლილი მიუძღვის: გომართელი, წურწუმია, ხუციშვილი... და აქვე ჩემი შემხვედრი კითხვა, გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას იმ ესთეტიკის ჩამოყალიბების გამო, რომელიც ქართულ პოპ მუსიკას აქვს? თუმცა პასუხად მივიღე სხვა გვარები და პროექტები - ყანჩელის პროექტი, მამალაძის კონცერტები და ა.შ. ჩემს რესპონდენტს ჩამოსათვლელი მართლაც ბევრი აქვს.

თუ კულტურის მინისტრი მარინა ბერიძის კონცეფციას, ანუ პოპ მუსიკის ხელშეწყობის დეპარტამენტს დაამტკიცებს, მაშინ სხვა ჟანრის წარმომადგენლებსაც შეიძლება გაუჩნდეთ ამბიცია იმისა, რომ მათ სფეროსაც ჰქონდეთ ცალკე დეპარტამენტი სამინისტროს ფარგლებში და შეიძლება ეს "ლოგიკური ამბიცია" მხოლოდ მუსიკალური ჟანრების წარმომადგენლებს გაუჩნდეთ. რატომაც არა, საკითხი იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავს და აყალიბებს საზოგადოების, ერის გემოვნებას ძალიან სადაოა და უტოპიური - ამ სიტყვის ყველაზე მარტივი და თანამედროვე გაგებით.

სვანეთის მემკვიდრეობა

ფრესკების გადასარჩენად გადადგმული ნაბიჯი

თამარ კიკნაველიძე

ანა ჯაფარიძე (ფოტო)

თბილისის სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც ქვემო სვანეთის შუა საუკუნეების მხატვრობის ამსახველი ფოტოები გამოიფინა.

პროექტზე, სახელწოდებით "ქვემო სვანეთის ძეგლთა ინვენტარიზაცია", იმუშავა კავშირმა "შევინარჩუნოთ მემკვიდრეობა". ივანე ყენიას (პროექტის ხელმძღვანელი), გურამ პატარქალიშვილის (არქიტექტორი), გიორგი გაგოშიძის (მხატვარ-რესტავრატორი), ელგუჯა პირველის (ტექნიკური მენეჯერი) მიერ 2009 წელს განხორციელებული სამუშაოები "ქართუ ჯგუფის" საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა დააფინანსა.

ექსპონირებულ ნამუშევრებში კარგად ჩანს სვანეთის ფრესკული მხატვრობის, მისი ფერთა გამის, კომპოზიციების მრავალფეროვნება და განსაკუთრებულობა. ამის გარდა, ფოტოებზე ისიც იკითხება, რომ მათი უმრავლესობა დაზიანებულია, თანაც საგრძნობლად. აქ ნახავთ ფრესკებს, რომლებზეც მხატვრობა, თითქმის, წაშლილია და მათი აღდგენა აუცილებელია, საჭიროა, სასწრაფოა... აი, ამ მიზნით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც პირველ ეტაპზე ადგილზე შეაფასა ძეგლების ტექნიკური მდგომარეობა, შეადგინა ფოტოდოკუმენტაცია, საალრიცხვო ბარათები, განსაზღვრა მომავალში ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა და მეთოდიკა... სასიხარულოა, რომ სამუშაოებში თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის მაგისტრანტები და სტუდენტები მონაწილეობდნენ.

აღნიშნული პროექტის მიზანთან დაკავშირებით, მისმა ხელმძღვანელმა, ივანე ყენიამ გვითხრა: "ამ ბოლო წლებში ქვემო სვანეთის ძეგლების, განსაკუთრებით კი უნიკალური მხატვრობის ფიზიკური მდგომარეობა დამძიმდა და დღის წესრიგში დადგა გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულიდან, პროექტი გაგრძელდება და ძეგლების გადასარჩენად ჩასატარებელი სამუშაოები ახალ, უფრო მნიშვნელოვან ეტაპზე გადაინაცვლებს".

როდინდელია ნიმუშები? გიორგი გაგოშიძესთან და გურამ პატარქალიშვილთან გასაუბრების შემდეგ შევიტყვეთ, რომ ისინი ქვემო სვანეთში აგვისტოს თვეში ჩავიდნენ და ათ დღეში მოიარეს, დაახლოებით, 20 ძეგლი, რომელთაგან ფერწერის ნიმუშები მხოლოდ ათში აღმოჩნდა. ისინი პირველების ოჯახში ცხოვრობდნენ და ძირითად დროს ნიმუშების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებასა და ფოტოდოკუმენტაციის შედგენას უთმობდნენ. ფრესკებიდან ყველაზე ადრეული შესრულებულია XI, ხოლო ყველაზე გვიანი - XVII საუკუნეებში.

რას ნახავთ გამოფენაზე? უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, ფრესკული მხატვრობის ნიმუშებს სოფლებიდან: დაბიში, საყდარი, ჩუკული, ტვიბი... პირველი მათგანიდან წარმოდგენილია: გოჩა ყიფიანი, წმ. პეტრე, ღმრთისმშობელი დიდებითა, ტაიბულ ყიფიანი და მისი ძე, იაშვილის ქალი ქეთია, ისაკის მსხვერპლშეწირვა, წმ. ანანია, წმ. დიაკვანი სტეფანე, ნათლისღება, წმ. ეკლესიის მამა, მარეხ, წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, ტაიბულ ყიფიანის ვაჟი, წმ. პავლე, წმ. იოანე ოქროპირი; საყდრიდან - ხატი, ვედრება, წმ. იოანე ნათლისმცემელი, მაცხოვარი, ხვთისმშობელი, იერუსალიმად შესვლა, წინასწარმეტყველი სოლომონ, ქტიტორები, წმ. მარიამ მეტყველის ზიარება, წმ. ეკლესიის მამანი, იერუსალიმად შესვლა, წმ. მთავარანგელოზი გაბრიელი, წმ. წინასწარმეტყველი, წმ. თევდორე, ჯვარცმა, ნათლისღება, ზოსიმე დეკანოზი; ჩუკულიდან - განკითხვის დღე, ამაღლება, ვედრება, წმ. იოანე ნათლისმცემელი, წმ. გიორგი, წმ. ბარბარე და წმ მარიამი, ტვიბიდან: წმ. დედა, იპარიტ ივაჩიანი, წმ. ბარბარე, საქტიტორო პორტრეტები, ლაზარეს აღდგინება, ქტიტორები, წმ. თევდორეს განმადიდებელი ანგელოზი, კვირიკე ასკიანი, წმ. თევდორე, იოანე ბერი და ა.შ. ფრაგმენტულად ნაჩვენები ფრესკების პარალელურად, არის ერთი ფოტო, სადაც საყდრის სამხრეთ კედლის მოხატულობაა ნაჩვენები. აქ ნათლად ჩანს დაზიანებები, რომლებიც ხელის წაშველებას გადაუდებლად საჭიროებენ. მათი რესტავრაცია-კონსერვაციის შემთხვევაში კი, გადარჩებიან ძეგლები, რომლებიც ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ.

ტიმ ბარტონის მხატვრობა

რეჟისორის გამოფენა ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში

ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვარი ენდი უორჰოლის შემდეგ - ასეთი შეფასება მიიღო ადამიანმა, რომელიც მხატვრობით სულაც არაა ცნობილი - მსოფლიოსთვის ის რეჟისორი ტიმ ბარტონია. ენდი უორჰოლის გვერდით დაყენების პატივი კი იმ შემოქმედებითი ხელწერის გამო ერგო, რომლითაც არა მხოლოდ მისი მხატვრული ნამუშევრები, არამედ ფილმებიც გამოირჩევა. ვინც ბარტონის შემოქმედებას კარგად იცნობს, ალბათ ამ შეფასებაში ეჭვს არ შეიტანს.

22-დან 26 ნოემბრის ჩათვლით ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ტიმ ბარტონის პერსონალური გამოფენა გაიმართება. როგორც გამოფენის კურატორი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე რონ მალიოცი აცხადებს, ეს იქნება უდიდესი მოვლენა მუზეუმის ისტორიაში, რადგან ასეთი თვითმყოფადი, სრულიად გამორჩეული ნამუშევრები იშვიათად იფინება. მისივე თქმით, ტომ ბარტონმა დიდი ხანია უორჰოლსაც გადააჭარბა, რადგან მისი თანამედროვე ხედვა გაცილებით ვრცელი და საინტერესოა.

გამოფენა მასშტაბური იქნება. მუზეუმის დამთვალიერებელი იხილავს რეჟისორის ადრეულ, კალიფორნიის ხელოვნების ინსტიტუტში სწავლისას შექმნილ მხატვრულ ტილოებს, ასევე მცირე ზომის სკულპტურებს და რაც მთავარია, მისი ფილმებისთვის შექმნილ არტებს, დეკორაციებს, ესკიზებსა და სხვას. როგორც ხელოვნების სპეციალისტები ამბობენ, საზოგადოება ტიმ ბარტონს სრულიად განსხვავებული კუთხიდან გაიცნობს და აღმოაჩენს, რომ ის შესაძლოა უფრო კარგი მხატვარია, ვიდრე რეჟისორი.

კომენტარს აკეთებს ბარტონიც. იგი აცხადებს, რომ როდესაც გამოფენის ორგანიზების სურვილი შეატყობინეს, დაიბნა და ოდნავ გაოგნდა კიდეც: "არასდროს წარმომედგინა საკუთარი თავი დიდ მხატვრად, ამიტომ ამ გამოფენისათან დაკავშირებით ძალიან ვღელავ. მე ძალიან მორცხვი და შინაგანად დაუცველი ადამიანი ვარ, ყოველი ფილმის პრემიერის წინ საშინლად ვღელავ, რამდენიმე დღე მჭირდება საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რომ ჩვენებაზე ყველაფერი კარგად ჩაივლის. ახლა კი ეს გამოფენა! არც კი ვიცი, როგორ უნდა მივიდე გახსნაზე და რა უნდა ვთქვა".

აღსანიშნავია, რომ გამოფენის პარალელურად მუზეუმის კინოდარბაზში რეჟისორის ფილმების ჩვენებაც გაიმართება. მისი ნამუშევრები ორ რეტროსპექტივაში - "ტიმ ბარტონი" და "ტიმ ბარტონი და საშინელი მონსტრები" - გაერთიანდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამჟამად რეჟისორს პრაქტიკულად დასრულებული აქვს მუშაობა ახალ პროექტზე - "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" მსოფლიო ეკრანებზე 2010 წლის მარტში გამოვა. თუ ინტერნეტში გავრცელებული არტებისა და სცენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს იქნება ბარტონის მორიგი ხელოვნების ნიმუში. ფილმის ყოველი კადრი, პერსონაჟი თუ უმნიშვნელო დეტალი მხატვრულად სრულყოფილი და ორიგინალურია. ფილმში მოქმედება ლუსი კეროლის მიერ აღწერილი ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვითარდება: ალისა უკვე დიდი გოგონაა და გათხოვებისთვის ემზადება, თუმცა მას არ უყვარს მშობლების მიერ შერჩეული საქმრო, ამიტომ იძულებულია თავს გაქცევით უშველოს და თეთრი კურდღლის კვალდაკვალ კვლავ საოცრებათა ქვეყანაში აღმოჩნდეს. ტიმ ბარტონმა არჩევანი ამჯერადაც თავის საყვარელ მსახიობებზე შეაჩერა: შეშლილი მექუდეს როლს მისი ექვსი ფილმის მონაწილე ჯონი დეპი ასრულებს, წითელი დედოფლის როლში მეუღლე და მსახიობი ჰელენა ბონემ კარტერია, თეთრ დედოფალს კი ენ ჰეტეუეი ასახიერებს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად:

ლოტი I - გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობის მომსახურება;

ლოტი II - იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობის მომსახურება.

შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 13 ნოემბრიდან ამავე წლის 3 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ანგარიში: 200122900

ბანკის კოდი: 220101222

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 3 დეკემბრის 11:00 საათიდან 14:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შოთა ქამხაძე, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. N90) აცხადებს ტენდერს ***ქუჩის საახალწლო მოსართავების შესყიდვაზე*** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. ***მიწოდების ვადები:*** საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღე;

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით ***2009 წლის 2 დეკემბერს, 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N12.*** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

გ) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტერიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ.

5. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-4 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.

6. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ***2009 წლის 2 დეკემბერს 12:00 სთ-ზე,*** სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

8. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

9. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, ***შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი N3.*** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

12. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ***ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.***

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა მელუა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ***ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.***

სატენდერო კომისია

სპორტი

მანუჩარ მარკოიშვილი: "ტერამოსთან" მხოლოდ ცენტრად არ მითამაშია

პირველი გვერდიდან

მანუჩარ მარკოიშვილი "კანტუში" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა

- მთავარ მწვრთნელს ბევრი რამის გადაწყობა მოუხდა?

- საკმაოდ ბევრის. პირველ რიგში, მწვრთნელებმა დაცვაში, რაც შეიძლება, აკურატულად თამაში დაგვავალეს და ეს მშვენივრად გამოგვივიდა. "ტერამოს" რამდენიმე სახიფათო მოთამაშე ჰყავს და მათ წინააღმდეგ ხისტად, მაგრამ აკურატულადაც უნდა გვეთამაშა. პირადად მე, ცენტრის გარდა, ყველა პოზიციაზე მომიხდა თამაში. ძირითადად, ორ და სამ ნომრებს ვიჭერდი, მაგრამ დროდადრო "ტერამოს" პლეიმეიკერებსაც მამაგრებდნენ. მერე ოთხ ნომერზეც დამაყენეს და მგონი ცუდად არ მითამაშია. ხშირად მივმართავდით დაცვით როტაციას, მაქსიმალურად ყურადღებით ვიყავით ერთმანეთის დაზღვევისას და შეცდომებიც, წინა მატჩებთან შედარებით, ნაკლები გვქონდა.

- ალბათ, ხშირად გიწევდა "ტერამოს" ძირითადი პლეიმეიკერის ბობი ჯოუნსის (18 წუთი, 5 ქულა, არც ერთი პასი) წინააღმდეგ თამაში.

- დიახ. ჯოუნსი ათლეტური ტიპია და დაცვაში ბინძურად თამაშობს. ვცდილობდი, ყურადღება არ მომედუნებინა და მისთვის, რაც შეიძლება, ნაკლები სათამაშო სივრცე დამეთმო. ჯოუნსმა თავიდანვე აიკიდა ორი ფოლი და მწვრთნელებმა სათადარიგოებში გადასვეს. მერე, როგორც კი დაბრუნდა, სამიანი გამოიყენა, მაგრამ დაცვაში შეცდა და ჩემზე მესამე პერსონალური შენიშვნა მიიღო. სხვათა შორის, ჯოუნსის ზუსტი სამიანისას დავუშვი შეცდომა. გაცვლისას ვეღარ მოვასწარი მისდამი მანძილის დაფარვა და ჯოუნსმა ადვილად გამოიყენა სამიანი. მწვრთნელმა მაშინვე წუთშესვენება აიღო და შეცდომაზე მიმითითა. ამის შემდეგ მას თითქმის აღარ მიეცა თავის გამოჩენის შანსი და მატჩის ბოლომდე მოედანზე სულ რაღაც ხუთი-ექვსი წუთი გაატარა.

- ტრავმების გამო წელს ალბათ ყველაზე მოძრავი, სწრაფი ხუთეული გაიყვანეთ მოედანზე.

- დიახ, რადგან სხვა გზა არ გვქონდა. ლიდეკას ტრავმის გამო ვცდილობდით, რაც შეიძლება, სწრაფი თამაშით შეგვექმნა პრობლემები "ტერამოსთვის". ჩვენი ძირითადი ცენტრის ადგილს ხან ავსტრიელი ორტნერი (29 წუთი, 11 ქულა, 5 მოხსნა), ხან კი მაარტენ ლოინენი (40 წუთი, 11 ქულა, 9 მოხსნა) იკავებდა. ურთიერთდაზღვევაზე ცოტა შეცდომა დავუშვით და ჩვენმა მაღლებმა ნაყოფიერად ითამაშეს.

- ლოინენი საერთოდ არ შეუცვლიათ - 40 წუთი მოედანზე გაატარა...

- დიახ. მისი მოვალეობა აკურატულად თამაში იყო. საბოლოოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი სროლა გამოიყენა, ერთი-ორი დროული პასი გააკეთა და დაცვაშიც დიდი წუნი არ ჰქონია. ის, რომ "ტერამო" შესუსტებული შემადგენლობით დავამარცხეთ, ლოინენის დამსახურებაცაა.

- ჯოუნსმა ვერა, მაგრამ "ტერამოს" სხვა დაბლებმა ბევრი პრობლემა შეგიქმნეს.

- გეთანხმებით. "ტერამოს" ისეთი არავინ აკლდა, ვისი შეცვლაც ძნელი იქნებოდა. ჩვენ კი ამ მხრივ პრობლემები გვქონდა. კარგად ითამაშა და რამდენიმე მნიშვნელოვანი სროლა გამოიყენა რაიან ჰუვერმა (24 წუთი, 13 ქულა). როგორც კი შანსი ეძლევა, მაშინვე ისვრის და საკუთარ თავში დარწმუნებულია. საბოლოოდ რამდენიმე ურთულესი სამიანი ჩაგვიგდო და აქტიურად ჩაერთო თამაშში. ასევე ძნელი შესაჩერებელი გახდა დრეიკ დინერი (35 წუთი, 10 ქულა). ის ძირითადად ცდილობს, სამიანი ისროლოს, მაგრამ ჩვენთან რამდენიმე შორეული სროლა თავიდანვე გააფუჭა და ამის მერე ძირითადად საშუალო დისტანციიდან ან სამწამიანიდან გვიტევდა. გაგვიჭირდა, მაგრამ მობილიზება მოვახდინეთ და ყველაფერი მშვენივრად დასრულდა.

- აკურატულად ისროდა თქვენი ძირითადი გამთამაშებელი ჯერი გრინი.

- გრინი (27 წუთი, 17 ქულა, 3 მოხსნა) ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. "ტერამო" მაქსიმალურად ცდილობდა, გრინი იზოლაციაში მოექცია და თუ ჯერი პლეიმეიკერის ფუნქციებს ვერ ასრულებდა, ყველანაირად ვცდილობდით, ის სასროლ პოზიციაზე გაგვეყვანა. გრინმა მართლაც ცოტა, მაგრამ იოლი სროლები შეასრულა და ამაში მთელმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ერთხელ სწრაფი შეტევა დაასრულა, მეორედ მოვხსენით შეტევაში ბურთი და გრინმა სამი მეტრიდან ჩააგდო. მოკლედ, მაქსიმალურად კარგად გამოვიყენეთ მისი შესაძლებლობები და ამან შედეგი მოიტანა.

- უცნაური თამაში გამოუვიდა თქვენი გუნდის საუკეთესო მექულეს ნიკოლას მაზარინოს (ერთ მატჩში საშუალოდ 16.8 ქულა).

- მაზარინომ ბევრი იოლი სროლა გააფუჭა, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში ჩასაგდები ჩააგდო. ყველა თამაშში ერთნაირი სიზუსტით ვერ ისვრი ბურთს, თუმცა მაზარინომ სხვა კომპონენტებში მოგვიტანა სარგებელი. ბევრი სროლა გააფუჭა (ოთხიდან ვერც ერთი სამქულიანი ვერ გამოიყენა), მაგრამ გუნდმა მოიგო და ეს არის მთავარი.

- შემდეგ ტურში ძალიან ძნელი მატჩი გელით "არმანისთან". რამდენად რეალურია მოგება?

- ყველაფერი რეალურია, თუმცა ვხვდებით, რომ მძიმე მატჩი იქნება და უპირატესობა "არმანის" მხარესაა. ჩვენს მომავალ მეტოქეს კარგი შემადგენლობა ჰყავს. წინა ტურში სტუმრად ურთულესი შეხვედრა მოუგეს ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსს" (დამატებით დროში, 87:83, ავტ.). "სიენას" მერე ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია და მაქსიმალურად ცოტა შეცდომა უნდა დავუშვათ. კარგია, რომ ვარჯიში განაახლა ლიდეკამ და, სავარაუდოდ, "არმანისთან" თამაშს მოახერხებს. სხვა მხრივ ძალიან ბევრი მოთამაშის გამოყოფა შეიძლება "არმანის" შემადგენლობაში - ალექს აკერი, სტეფანო მანჩინელი, მარკო მორდენტე. დიდ ძალას წარმოადგენენ ლიტველები - პეტრავიჩუსი და მაციულისი. მოკლედ, ძალიან რთული მატჩი გველის, თუმცა მოვალეობის მოხდის მიზნით მოედანზე გასვლას არ ვაპირებთ. "კანტუმ" კარგი სტარტი აიღო და ნებისმიერ შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

- "სიენასთანაც"?

- დიახ, "სიენასთანაც". თუმცა, როგორც გითხარით, ეს გუნდი ყველა დანარჩენზე ბევრად ძლიერია. "სიენას" ჯერ არ ვხვდებით და ვეცდებით, ყოველ მომდევნო მატჩს ისე მოვეკიდოთ, როგორც უკანასკნელს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

კანკავამ ვარჭიში განაახლა

უკრაინული "დნიპროსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ვარჯიში განაახლა.

ჯაბას თაობაზე "დნიპროს" მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ბესონოვმა უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბრისას მცირე კომენტარი გააკეთა: "რამდენად მალე შეძლებს კანკავა ფორმაში შესვლას, მასზეა დამოკიდებული. არ დაგავიწყდეთ, ჯაბას დიდი დრო გაუცდა ტრავმის გამო."

23 წლის ქართველ ფეხბურთელს, შარშანდელი მაისიდან მოყოლებული, გადაბმით ხუთი მატჩიც არ ჩაუტარებია - ჯერ ხერხემალი აწუხებდა, მერე კი კოჭზე მკურნალობდა და ოპერაციებიც დასჭირდა.

მარცვალაძე საუკეთესოდ აღიარეს

რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე მაჰაჩყალის "ანჟიმ" განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით პრემიერლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. რუსულმა სპორტულმა გამოცემამ "სპორტ ექსპრესმა" შეაჯამა გასული სეზონის შედეგები და "ანჟის" ქართველი ფეხბურთელი ოთარ მარცვალაძე პირველი დივიზიონის საუკეთესო ლეგიონერად და ნახევარმცველად დაასახელა (იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ ფეხბურთელს პირველი წრე თითქმის მთლიანად გაუცდა).

სეზონის საუკეთესო მოთამაშის წოდებისთვის ბრძოლაში ის მხოლოდ სპარტაკ გოგნიევსა ("კამაზი") და ალექსეი მედვედევს ("სიბირი") ჩამორჩა. ბომბარდირებს შორის მარცვალაძე, 22 მატჩში გატანილი 13 გოლით, მეხუთეა, ხოლო "გოლი პლუს პასის" ნომინაციაში - მე-7 (13 გოლს მან ერთი საგოლე გადაცემა მიამატა).

ანანიძემ ტიტოვი შოკში ჩააგდო

მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილი კაპიტანი, ერთ დროს ყველაზე პოპულარული რუსული გუნდის სიმბოლოდ ქცეული ეგორ ტიტოვი რუს ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ჯანო ანანიძის ასაკის გაგების შემდეგ შოკში ჩავარდა.

"ჯანო უნიჭიერესი ფეხბურთელია. პირველად ის შარშან შევამჩნიე, როდესაც "სპარტაკის" დუბლ-შემადგენლობაში ერთად ვვარჯიშობდით. მაშინვე ვთქვი, რომ მას ნათელი გონება აქვს და დღითი დღე უმატებს. ხოლო როდესაც გავიგე, რომ მხოლოდ 15 წლის იყო, შოკში ჩავვარდი," - ამბობს ტიტოვი.

კარლიტოს ოცნება

ლონდონის "ჩელსის" იტალიელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი აცხადებს, რომ "არისტოკრატებთან" კონტრაქტის დასრულების შემდეგ "რომაში" ან იტალიის ნაკრებში სურს კარიერის გაგრძელება.

კარლიტოს თქმით, ის "სკუადრა აძურას" რომ თავკაცობდეს, გუნდში აუცილებლად გამოიძახებდა "სამპდორიას" თავდამსხმელ ანტონიო კასანოს. როგორც ცნობილია, იტალიელთა ახლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ფორვარდის გუნდში გამოძახებაზე უარი განაცხადა.

"რომაში" დავბრუნდებოდი, რადგან ახლა ეს ერთადერთი კლუბია, რომელშიც "ჩელსიდან" წასვლის შემდეგ მუშაობის სურვილი მექნება. თუმცა, კიდევ არის გუნდი, რომლის თავკაცობასაც ვისურვებდი. ეს იტალიის ნაკრებია. ვიცი, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ გუნდში კასანოს გამოვიძახებდი", - ამბობს ანჩელოტი "არისტოკრატთა" დამრიგებელმა თავის ყოფილ კლუბში - "მილანში" შექმნილ ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება: "ვფიქრობ, კაკას წასვლის შემდეგ გუნდმა მოტივაცია დაკარგა. რაც შეეხება რონალდინიოს, მისი პრობლემა ადვილად გადასაწყვეტია - ბრაზილიელს უფრო მეტი ვარჯიში ესაჭიროება".

ბოსინგვა სამ თვეს დაისვენებს

"ჩელსის" პორტუგალიელი მცველი ჟოზე ბოსინგვა სამი თვით იძულებით შვებულებაში გავიდა.

ფეხბურთელს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია ჩაუტარდა, რის შედეგადაც აღდგენით პროცესს, სულ მცირე, სამი თვე დასჭირდება.

თავიდან ქირურგები 27 წლის ფეხბურთელის სარეაბილიტაციო ვადად ოთხ კვირას ასახელებდნენ, ოპერაციის შედეგად კი გაირკვა, რომ მდგომარეობა იმაზე უფრო სავალალო იყო, ვიდრე მედიკოსები ვარაუდობდნენ. ასე რომ, აღდგენითი პროცესის ვადაც საგრძნობლად გაიზარდა.

მესის მორიგი აღიარება

დიდი ნოსტრადამუსობა არ არის საჭირო, რომ იწინასწარმეტყველო, თუ ვინ მოიგებს გასული სეზონის თითქმის ყველა პირად ჯილდოს. რაღა თქმა უნდა, "ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი ლეო მესი.

სეზონი დასასრულს მიუახლოვდა და სხვადასხვა გამოცემები საუკეთესოებს ასახელებენ. ლეომ ორი ტიტული უკვე დაისაკუთრა, ამ დღეებში კი - მესამეც. საუბარია ესპანეთის შიდა პირველობაზე. მესი გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს - მას ალფრედო დი სტეფანოს სახელობის ჯილდო გადაეცა. ეს საპატიო ტიტული მეორედ თამაშდება. შარშან ის რაულმა მოიგო, წელს კი - მესიმ.

ალფრედო დი სტეფანოს სახელობის პრიზს იმ ფეხბურთელს გადასცემენ, რომელსაც კომპეტენტური ჟიური საუკეთესოდ დაასახელებს. ეს არ არის გამოკითხვის შედეგი. ჟიურის შემადგენლობაში შედიან ისეთი სპეციალისტები, როგორებიც არიან ხორხე ვალდანო, იოჰან კრუიფი, ფერნანდო იერო, ანდონი სუბიზარეტა, ლუის სუარესი და ზინედინ ზიდანი. ჯილდო მესის თავად დი სტეფანომ და დიეგო მარადონამ გადასცეს. ასე რომ, დაჯილდოების ცერემონიალზე სამი არგენტინელი იდგა პოდიუმზე. ამ ტიტულისთვის ბრძოლაში მესიმ უკან ჩამოიტოვა ანდრეს ინიესტა და დიეგო ფორლანი.

ბაკერო პოლონეთში იმუშავებს

"ბარსელონას" ყოფილი ნახევარმცველი ხოსე მარი ბაკერო აპირებს სამწვრთნელო კარიერა პოლონეთში გააგრძელოს.

ბაკერო, რომელსაც მწვრთნელად "მალაგა B"-სა და "რეალ-სოსიედადში" უმუშავია, ვარშავის "პოლონიას" უხელმძღვანელებს. ის პოლონურ კლუბში 2009 წლის ბოლომდე დარჩება, მერე კი მხარეები კონტრაქტის გახანგრძლივების შესაძლებლობას განიხილავენ.

"ინტერმა" ჟულიო სეზარი შეინარჩუნა

ბრაზილიის ნაკრებისა და მილანის "ინტერის" მეკარე ჟულიო სეზარმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და "ინტერში" 2014 წლამდე ითამაშებს.

ბოლო პერიოდში ბრიტანულ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ 30 წლის სამხრეთამერიკელი მეკარის გადაბირება "მანჩესტერ იუნაიტედს" სურდა, თუმცა, "ნერაძურისთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, სეზარმა ყველა კითხვას პასუხი გასცა.

"ბედნიერი ვარ, რომ კლუბი ჩემს გარჯას საკადრისად აფასებს, რისი დასტურიც ახალი კონტრაქტი გახდა. "ინტერის" მიზანი განვითარება და ახალი მწვერვალების დაპყრობაა. ფეხბურთელებს ტიტულების მოგების სურვილი ჯერაც გვაქვს და იმედია, უახლოეს მომავალში, კიდევ არაერთი ტურნირის გამარჯვებული გავხდებით", - აღნიშნა ბრაზილიელმა მეკარემ.

რაც შეეხება "მანჩესტერს", ეს კლუბი სავარაუდოდ ცსკა-ს კიპერ იგორ აკინფეევს იყიდის, რომელმაც არმიული კლუბისა და "მანჩესტერის" ჩემპიონთალიგურ დაპირისპირებაში სერ ალექს ფერგიუსონზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

"ქორებმა" ზაზას გარეშე მოიგეს

NBA-ს რეგულარულ სეზონში მერვე მატჩი გამართა "ატლანტა ჰოუქსმა" და მეექვსედ მოიგო. რვა თამაშიდან "ქორებმა" ხუთი სტუმრად გამართეს და მხოლოდ ორში დამარცხდნენ. რაც შეეხება საშინაო შეხვედრებს, ჯორჯიელებს ჯერჯერობით ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვთ.

გუშინ, გამთენიისას, "ატლანტამ" ნიუ იორკ "ნიქსი" 114:101 დაამარცხა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა თამაშის ბედი მეორე ტაიმში გადაწყვიტა, კერძოდ, მესამე მეოთხედში, რომელიც 14- ქულიანი უპირატესობით მოიგო. შესვენებაზე გუნდები ისე გავიდნენ, რომ "ატლანტა" 7 ქულას აგებდა.

ისევე, როგორც წინა მატჩებში, ამჯერადაც ფაჩულიას წვლილი თავისი გუნდის გამარჯვებაში სიმბოლურია. ქართველმა ცენტრმა მხოლოდ ოთხ წუთს ითამაშა და, ცხადია, ბევრი ვერაფერი გააკეთა - მის ანგარიშზე 2 ქულა და 2 მოხსნაა.

ეს თამაშიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა "ატლანტას" ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა. 41 წუთში მან 25 ქულა დააგროვა, 9-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 2 ბლოკშოტი მიითვალა, თუმცა თავის გუნდში საუკეთესო მაინც არ ყოფილა. ჯორჯიელთაგან გამოირჩა ჯოშ სმიტი, რომელმაც 22 ქულას 12 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიუმატა. აღსანიშნავია მაიკ ბიბისა და ჯო ჯონსონის თამაში. პირველმა 19 ქულითა და 9 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი, მეორემ კი - 19 ქულით, 7 მოხსნით და 5 ზუსტი პასით.

მომდევნო მატჩში მაიკ ვუდსონის გუნდს სერიოზული გამოცდა ელის. ხვალ, გემთენიისას, "ატლანტა" ბოსტონს ესტუმრება და "სელტიქსს" დაუპირისპირდება. ბოსტონელები აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერები არიან 8 მოგებითა და 1 მარცხით, "ატლანტა" კი მესამე საფეხურზეა.

ფაჩულიას საკმარისი სათამაშო დრო არ მისცეს

საფინი უკვე ისტორიაა

ზურაბ თალაკვაძე

ის არც პიტ სამპრასი იყო და არც როჯერ ფედერერი. ვერც ანდრე აგასივით დომინირებდა (აუუუუუ, ახლა არ დაიწყოთ, ამერიკელი "ყნოსავდა", "იკეთებდა" და "იჯდაო") და ვერც პატ რაფტერივით იგებდა წაგებულს. უბრალოდ, ძალიან ნიჭიერი, პრო-ტურზე საუკეთესო ფორჰენდის მქონე და ძალიან პოპულარული გახდა თავიდანვე და მანამდე ვინც ვახსენე, ამ ბუმბერაზების ზენიტში ყოფნისას, ყველას უგებდა.

მარატ საფინმა კარიერა დაასრულა.

რუსი, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთეულთა რეიტინგს ედგა სათავეში, ნიჭში იხრჩობოდა, მაგრამ უაზროდ ფლანგავდა ფულს, დროს და იმ ნიჭსაც, რამაც ყველაფერი მოუტანა. საფინმა 13 წლის განმავლობაში მხოლოდ 15 ტურნირი მოიგო, მაგრამ ნახევარზე მეტი სლემები და "მასტერსები" იყო.

და კარიერაც იქ დაასრულა, სადაც ყველაზე მეტჯერ - სამჯერ გახდა ჩემპიონი. პარიზის "მასტერსზე" მარატი არგენტინელ ვარსკვლავთან, ხუან მარტინ დელ პოტროსთან დამარცხდა.

"როდესაც ერთ-ერთი ტურნირის დროს ჩემმა მწვრთნელმა საფინისა და აგასის თამაშის სანახავად წამიყვანა, ანდრეზე მეტად მარატის თამაში მომეწონა. აგრესიული, რისკიანი და ამოუცნობი ჩოგბურთი ვნახე. მერე გასახდელთან დაველოდე და ავტოგრაფი ვთხოვე. ჩანთიდან პირსახოცი ამოიღო, ხელი მოაწერა და მაჩუქა. მარატ, ის სუვენირი შენახული მაქვს და ჩემთვის დღესაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ, ბავშვი რომ ვიყავი. მთელ ჩვენს დიდ საჩოგბურთო ოჯახს ძალიან დააკლდები", - იტყვის საფინის ბოლო მჯობნი დელ პოტრო, რომელმაც რუსს სამ სეტში - 6:4, 5:7, 6:4 მოუგო.

საფინი დიდი სლემის ტურნირების ორგზის ჩემპიონია. 2000-ში მარატმა ამერიკის ღია პირველობის ფინალში იდეალურ ფორმაში მყოფი სამპრასი დაამარცხა. მატჩის შემდეგ პიტი იტყვის, დღეს ჩემმა მოწინააღმდეგემ 21-ე საუკუნის ჩოგბურთი ითამაშაო.

მეორედ საფინმა 2005-ში გაიმარჯვა სლემზე. ჯერ იყო ყველა დროის ეპიკური ნახევარფინალი ფედერერთან, რომელშიც საფინმა მეხუთე სეტში გატეხა შვეიცარიელი ფენომენი. ფინალში ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად გადაღლილი საფინი ოზების კერპს ლეიტონ ჰიუიტს უგებს და...

მას მერე რუს გიგანტს უამრავ ტურნირზე უთამაშია და ერთხელაც აღარ მოუგია. საუკეთესო შანსი საფინს ცოტა ხნის წინ სანკტ პეტერბურგში მიეცა, მაგრამ ნახევარფინალში უკრაინელ სტახოვსკისთან დამარცხდა.

როგორც გითხარით, "ბერსის" ტურნირი მარატს სამჯერ ჰქონდა მოგებული და ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ჩემპიონად ითვლება. დელ პოტროსთან მატჩის მერე ტურნირის დირექტორმა სედრიკ პიოლინმა რუსს დარბაზის გასაღები გადასცა - აქაურობა შენთვის ვერასოდეს დაიხურებაო.

მარატის გაცილების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ნოვაკ ჯოკოვიჩმა, ივო კარლოვიჩმა, ტომი რობრედომ და ჟილ სიმონმა. პიოლინისგან საჩუქრის მირთმევისას საფინის გვერდით კიდევ ერთი ვეტერანი, დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანი ალბერტ კოსტა გაჩნდა და მარატს ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადა.

"არც კი ვიცი, რა გითხრათ. ძალიან ბევრგან მითამაშია, მაგრამ აქაურობა ჩემთვის მაინც გამორჩეულ, უსაყვარლეს ადგილად დარჩება. არც ვიცი, ხვალ დილით რომ გავიღვიძებ, რა უნდა გავაკეთო. აღარ მექნება სეზონის განრიგი, აღარ მომიწევს ბევრ ნიუანსზე ყურადღების გამახვილება. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი - თუ ჩემს ახალ ცხოვრებაში იმის ათ პროცენტს მაინც მივაღწევ, რისი გაკეთებაც ჩოგბურთში შევძელი, მაშინ მართლა ბედნიერი ვიქნები. მთავარი რა არის, იცით? მომენატრება თქვენი გულშემატკივრობა, სითბო, სიყვარული. ცოტათი დაბნეული ვარ და შეიძლება ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა, ვერ გითხრათ, მაგრამ პირველ რიგში, ერთხელაც მინდა გითხრათ: დიდი მადლობა", - აცრემლებული იხდიდა მადლობას მარატ საფინი.

იმ დღეს "მასტერსზე" ბევრი საინტერესო მატჩი იყო. მაგრამ ვერც როჯერ ფედერერის წაგებამ ჟულიენ ბენეტოსთან, ვერც რაფა ნადალის ფეერიულმა დაბრუნებამ ნიკოლას ალმაგროსთან შეხვედრაში და ვერც რომელიმე სხვა მოვლენამ ვერ დაჩრდილა საფინის მიერ შესრულებული უკანასკნელი რაფსოდია.

ზემოთაც ვთქვი, რომ მარატი უზომოდ პოპულარული იყო. თუ ოზი მეეისე მარკ ფილიპუსისი ტურნირის დროს წინდების სამრეცხაოში მისატანად, სასადილოში ხილის სალათის მოსართმევად თავის ბებერ მწვრთნელს გზავნიდა და ყველა დროის უდიდეს მოთამაშესავით ეჭირა თავი, საფინი მეტისმეტად უშუალო იყო. ტურნირის ბოლოს გასამართ ბანკეტებზე არაყსაც მაგრად ურახუნებდა, ინტერვიუზე უარს არავის ეუბნებოდა და საჩოგბურთო წრეებში ყველასგან უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა.

მისი წასვლით ჩოგბურთმა მართლაც დიდი, ქარიზმატული ფიგურა დაკარგა, ისეთი, როგორიც თავის დროზე პატ რაფტერი იყო. და თუ მთლად აგასის დონის ვერა, ქარიზმის ამბავში, თითქმის იმ დონის.

ჩოგბურთში მთელი ეპოქა დასრულდა.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ხელსაწყო

სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“ აცხადებს აუქციონს

თავის ტერიტორიულ სამსახურებში არსებულ ფართების ნაწილის იჯარით გაცემაზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მოქალაქეებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის მიღების მიზნით იურიდიული პირების განსათავსებლად.

№	იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელება	მისამართი	საიჯარო ფართი (კვ.მ)	ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში)	„ბე” (ლარი)	„ბიჯი” (ლარი)
1 ლოტი	ზუგდიდის სამსახური	ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ.№106	3კვ.მ	550	200	100
	მთაწმინდა-კრწანისის სამსახური	ქ. თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4	3კვ.მ			
	თელავის სამსახური	ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ.№41	3კვ.მ			

ობიექტების იჯარით გაცემის ვადაა 10 წელი.

– აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საბანკო ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირებს ან მათთან აფილირებულ კომპანიებს.

– აუქციონი ტარდება 1 (ერთი) ლოტად.

– ლოტის საწყისი საიჯარო ღირებულება შეადგენს 550 (ხუთასორმოცდაათი) ა.შ.შ დოლარის ექვივალენტი ლარებში

– აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა (შემდგომში “მონაწილე”) აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელებას, ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყის ფასს, რომლის იჯარით აღებაც მას სურს.

ბ) ცნობა ფინანსთა სამინისტროდან რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის არ არსებობის შესახებ;

გ) ცნობა ფინანსთა სამინისტროდან საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

დ) ცნობა ყადაღის არ არსებობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან;

ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მასზე არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ვ) “ბე”-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე: ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, ა/ა 122031300, ს/კ: 202307404.

ზ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, “მონაწილე” იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 5 ლარს, რომელიც ასევე გადახდილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

– ხელშეკრულების ზოგადი პირობებია:

ა) გამარჯვებული მონაწილე განთავსდეს სამოქალაქო რეესტრის სააგანტოს ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიულ სამსახურებში, მოქალაქეთათვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის მიღებისა და მიღებული თანხის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშებზე განთავსების მიზნით;

ბ) სამუშაო საათების ხანგრძლივობა განისაზღვროს: 9:00 – 17:00 (შესვენების გარეშე);

გ) სამუშაო დღეები: ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა;

დ) საიჯარო ფართი გაიცემა რეკონსტრუქციის უფლების გარეშე;

ე) გამარჯვებულ მონაწილეს არ აქვს უფლება განახორციელოს სხვა საქმიანობა გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა;

ვ) საიჯარო თანხაში შედის წყლის, ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და სხვა კომუნალური გადასახადები.

ზ) გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია განთავსდეს სააგენტოს წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადებსა და ტერიტორიულ სამსახურებში.

თ) გამარჯვებული მონაწილის მიერ მოქალაქეებისაგან საკუთარი მომსახურების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ბაჟი, ან სააგენტოს მომსახურების საფასური არ აღემატება 5 ლარს ბანკის მომსახურების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 0.5 ლარს.

ი) საგანგაშო სიგნალის მოწყობა ევალება გამარჯვებულ მონაწილეს.

კ) სავალდებულია გამარჯვებული მონაწილის მიერ ყოველდღიურად მოხდეს მომსახურების შედეგად მიღებული თანხის ინკასაცია.

ლ) გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია ააწყოს ბილინგის სისტემა.

აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი “ბე” ეთვლება პირველი თვის საიჯარო თანხის ანგარიშსწორებისას.

ინფორმაცია განაცხდების მიღების შესახებ:

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 14 დეკემბერს 15:00 სთ-ზე, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა-ში.

აუქციონში მონაწილეებს უფლება აქვთ მოითხოვონ საიჯარო ხელშეკრულების პროექტი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება აღნიშნული ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 2009 წლის 14 დეკემბრის 14:30 საათამდე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 სთ-დან 18 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადებები არ მიიღება.

ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საიჯაროდ გამოტანილ ქონებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა, ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე: 35 79 79; 895101001.

სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო”

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქ. თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილება აცნობებს მოქ: გენადი აწყვერელს და მისი ოჯახის წევრებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი ვართ გაგაფრთხილოთ, რომ გამოქვეყნების დღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ნებაყოფლობით შეწყვიტოთ სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა ან სხვაგვარად ხელშეშლა და გაიტანოთ თქვენი ნივთები ან წარმოადგინოთ აღნიშნულ უძრავ ნივთზე თქვენი საკუთრების მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

შპს “ინტელექტ ცენტრი” ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს “ინტელექტ ცენტრის” ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის” კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები (FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE;)
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს “ინტელექტ ცენტრი” აგრეთვე გთავაზობთ

ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს

და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი

www.intelc.ge

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ.

აღმაშენებლის 133-ის კუთხეში

ტელ: 958112; 958113; 893618212;

www.intelc.ge

e-mail:intellectcenter@yahoo.com

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

ოღონდ, ქართველი არა!

ქართველი ჯარისკაცისა და რუსი ქალის ქარხნული დრამა

ზაზა ფაჩუაშვილი

ოღონდ, ქართველი არა! - ეს რაისას-ეული სიტყვები საავტორო უფლებით ეკუთვნის გალინა მიხაილის ასულ გულაკოვას პატივცემულ დედას ქსენია ანტიპას ასულ გულაკოვას, ოდეს მისი ერთადერთი ქალიშვილი, ლოთი ქმრისა და პატარა ბიჭის პატრონი, აგურის ქარხნის დასახლებაში პატიოსნად აღიარებული ერთადერთი ქალი, "ხახალის" ყოლაში გამოუტყდა. 38 წლის გალინას, დედისთვის ისევ "დოჩურკას", აღფრთოვანებით უნდოდა მოეყოლა მისთვის საბჭოთა კავშირის რუსულ "მუჟიკურ" სივრცეში დეფიციტურად ქცეული ოცი წლის ქართველი ჯარისკაცის ვაჟკაცური თვისებების შესახებ, მაგრამ მორჩილი პენსიონერის მყისიერმა კომენტარმა ხმა უმალვე გააკმენდინა, - "ხახალი? - ოღონდ ქართველი არა!" ეს იყო მუდარის შემცველი ბრძანება, რომელიც იუწყებოდა, რომ მისი დარღვევა სამშობლოსი თუ არა, დედის ღალატის ტოლფასი ნამდვილად იქნებოდა და ამიტომაც დაბრუნდა გალინა თავის აგურის დასახლებაში გულდამძიმებული. სამაგიეროდ, დედა დარჩა გახარებული, რომელსაც გალინამ ვეღარ გაუბედა, ეკითხა, - ქართველი რატომ არა? ამას შესაძლოა მისი გულის ნადების გამოაშკარავება მოჰყოლოდა და წამიერი შეცბუნების შემდეგ უბრალოდ ჩაილაპარაკა, - კარგი, კარგი, დედა. გაწბილებულ გოგოს გული განსაკუთრებით იმაზე წყდებოდა, რომ თავისი საყვარლის საამაყო წოდებასა და თანამდებობაზე ვერაფერი თქვა - ამხანაგი უფროსი სერჟანტი, ოცმეთაური (რომელსაც, უბრალოდ, "კომანდირს" ეძახდა). ეს აუცილებლად გაახარებდა მოხუც დედას, სამამულო ომის პერიოდში ბელორუსიის ტყეებში პარტიზანული მოძრაობის გულშემატკივარსა და მხარდამჭერს.

ქარხნული სიყვარულის ამბავი მოსკოვის ოლქის სადგურ "სოფრინოს" აგურის ქარხნის ეზოში, 1983 წლის ზაფხულში დაიწყო. მავთულხლართით გამოყოფილ, მიმდებარე ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილის მეოთხე ბატალიონის ახალგაზრდა ქართველი სერჟანტი, როგორც ყველაზე სანდო და ავტორიტეტული ოცმეთაური, აგურის ქარხანაში მომუშავე ქვედანაყოფის უფროსად დანიშნეს. სამხედრო წესდების მიხედვით, გამოუცდელ და უმწიკვლო რეპუტაციის არმქონე მოსამსახურეს სამოქალაქო პირებთან ურთიერთობას ვერ ანდობდნენ.

ქართველმა სახელი პირველივე დღეს გაითქვა, როცა თავისი ათკაციანი ჯგუფი აგურის დასახლებაში სამწყობრო ნაბიჯითა და მხედრული სიმღერით შეიყვანა.

ეს მართლაც აგურის დასახლება იყო. ქარხნიდან გამოვარდნილი ცხელი წითელი მტვერი ირგვლივ ყველაფერს შთანთქავდა და ცხვირის ნესტოებს წვავდა. იქაურები რაღაც ცოცხალმკვდრებივით დაბორიალობდნენ. თვალშეუჩვეველს ქალისა და კაცის გარჩევაც გაუჭირდებოდა, იმდენად ერთფეროვანი იყო მათი უსიცოცხლო სიარულის მანერა, სამოსი (მამაკაცური პერანგი და შარვალი) და აგურისფერი კანი. მოხუცები "სკამეიკებზე" ისხდნენ, ახალგაზრდა ქალები ქარხანაში მუშაობდნენ, კაცები ლოთობდნენ და ცოლების საყვედურებზე შეუვალ იმუნიტეტს ამჟღავნებდნენ.

გალინა მიხაილოვნა იმ ცეხის ცვლის უფროსი იყო, სადაც სამხედროები მუშაობდნენ. მას და ქართველ მეთაურს მხოლოდ ხელქვეითებზე მეთვალყურეობა ევალებოდათ, მაგრამ თავის ხალხს ორივე გულმოდგინეთ ეხმარებოდა. ქართველი თავის სამხედროებზე ბევრად უფრო მეტსაც მუშაობდა და ყველაზე მძიმე დატვირთვასაც კისრულობდა. სხვა რა დარჩენოდა მეტრანახევრიანი უზბეკებისა და ტაჯიკების გადამკიდეს. სამაგიეროდ გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა და ყველა კმაყოფილი რჩებოდა. ქარხანაში მომუშავე კაცებს ცვლილება არ დატყობიათ, მაგრამ ქალები აშკარად გამოცოცხლდნენ. ახალგაზრდებმა გაპრანჭვა დაიწყეს, კლიმაქსის ასაკში მყოფებმა კი - პატარა "სალდათიკების" ვაშლითა და სხვა შინაურული სასუსნავით გამასპინძლება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქარხნის დირექციამ ქართველის ჯგუფს არაოფიციალური ხელფასიც კი დაუნიშნა - თითოს თვეში სამი მანეთი. ეს უკვე არნახული აღიარება იყო, რასაც ასევე არნახული შემოწმება მოჰყვა. ამ საქმით თავად პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი მაქსინიც კი დაინტერესებულა, რომელიც ქართველების მოძულეობით იყო ცნობილი და მათ ველურებს ეძახდა. ჰოდა, იმ მაქსინს თავისი გაქექილი მოადგილისთვის, მაიორ გარიფულინისთვის დაუვალებია, წადი ნახე, ეგ ქართველი ნაღდად რაღაც ხრიკებს აწყობსო. მაქსინს ზუსტი პასუხი სჭირდებოდა და ძალიანაც გაეხარდებოდა, თუკი ქართველს რაიმე არასაწესდებო საქციელს ამოუქექავდნენ. ამიტომ გარიფულინმა გადაწყვიტა, პირადად იმდენჯერ შეემოწმებინა სახელგანთქმული უფროსი სერჟანტი, სანამ რამეზე არ წაასწრებდა. ამხელა მაიორი შებინდებისას მიიპარებოდა ხოლმე, ქარხნის ფანჯრებთან და ობიექტს უთვალთვალებდა. ქართველი მეთაური კი მთელი ცვლის განმავლობაში სამუშაოს ყველაზე მძიმე მონაკვეთზე იდგა და წელსზევით შიშველი, ოფლში გაწურული აწყობდა სველ აგურებს ღუმელში შესაგორებელ ვაგონებზე. თუ რომელიმე რგოლში მყოფი ჯარისკაცი დაიღლებოდა და ტემპს დააგდებდა, ახლა იქით გავარდებოდა, რომ კონვეირი არ შენელებულიყო. გარიფულინი თვალებს არ უჯერებდა. ასეთი რამ არცეთ სერჟანტს არ გაუკეთებია. ყველა ისე იქცეოდა, როგორც ევალებოდა - აგურის აკუსტიკურ დარბაზებში ბრახაბრუხით სიარული და უფროსობა, რომ რომელიმე ჯარისკაცს არ "ესაჩკავა". სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ცვლაში მყოფი ქართველის შემოწმებამ, ერთი და იგივე შედეგი რომ აჩვენა, გაწბილებული ჯაშუში მთელი თავისი საზეიმო მოწყობილობით ცვლის უფროსს გამოეცხადა და ქართველის საქმიანობის შესახებ ყველაფერი წვრილ-წვრილად გამოჰკითხა. ცხადია, გალინამ აქო და ადიდა ქართველი მეთაური, რომლის მოსვლის შემდეგ მისი ცვლის მაჩვენებელმა ყველას აჯობა. ჯაშუში რისი ჯაშუში იქნებოდა, ქალის სისუსტეზე რომ არ ეთამაშა და გარიფულინმაც პირდაპირ აჯახა:

- იცოდეთ, თქვენ პასუხს აგებთ იმისთვის, რომ დამნაშავეს ხელს აფარებთ. მე სამჯერ შევამოწმე ეს ქართველი და არცერთხელ ცეხში არ დამხვდა. გირჩევნიათ ახლავე მითხრათ, სად დადის ხოლმე, - მკაცრად მიმართა მაიორმა შეშინებულ ქალს, რომელიც ცოტა დაიბნა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა ერთი ისეთი შემთხვევაც კი, რომელზეც გარიფულინი ლაპარაკობდა.

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ბიჭი თავადაც საუკეთესოდ მუშაობს და სხვებსაც კარგად ამუშავებს. მისი ჯგუფი ძალიან დისციპლინირებულია და გეგმაში ერთი ჩავარდნაც არა აქვს. ამ ქარხანაში ყველა ამას გეტყვით, - საკმაოდ გაბედულად უპასუხა ქალმა მკაცრი გამომეტყველების მაიორს და ბოდიშიც მოუხადა, რომ სამუშაო ელოდა და დრო აღარ ჰქონდა.

უცნობია, რა ამბავი მიუტანა პოლკის მეთაურს ერთგულმა ჯაშუშმა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი უმაღლეს დონეზეც აღიარეს და ყველაზე დიდხანს დატოვეს აგურის ქარხნის ფრონტზე.

გალინამ კი მეთაური თავის კაბინეტში შეიყვანა და შეშფოთებულმა ყველაფერი უამბო.

- ნუ გეშინიათ, გალინა მიხაილოვნა, პირადი დარღვევა არაფერი მაქვს, ჩემი ოცეული კი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. არაფერი მემუქრება. ეს, ალბათ, მორიგი შემოწმება იყო, - დაამშვიდა ქალი ჯარისკაცმა, გაუღიმა კიდეც, მორიდებით თავიც დაუკრა და მერე ვეღარც მოიცილა.

მეორე დღიდან სადაც ქართველი მეთაური იდგა, გალინაც იქ გაჩნდებოდა ხოლმე და მასთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა. ამით ცოტა უხერხულ სიტუაციაში კი აყენებდა, მაგრამ ყოველთვის ეუბნებოდა, არაუშავს, შრომას მიჩვეული ვარო. რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა გალინა და მისი "კომანდირი" ეზოში ღუმელიდან გამოტანილ ცხელ-ცხელ აგურებს მანქანაზე დასატვირთ კონტეინერებში აწყობდნენ, ქალმა შეაჩერა და სიცილით უთხრა: "იცი? მე 28 წლის ვარ და მამაკაცი ძალიან მჭირდება."

ქალის კულტით გაზრდილი და ქალებთან ურთიერთობაში სრულიად გამოუცდელი ქართველი ჭაბუკი ვერაფერს მიხვდა, ზრდილობის გულისთვის გაუღიმა და მუშაობა გააგრძელა. გალინას ეს სიტყვები "კომანდირს" მეხსიერებაში მხოლოდ ორი თვის შემდეგ ამოუტივტივდა, როცა აგურის ქარხანაში უკვე სხვა ჯგუფი დადიოდა, რომლის მეთაურმაც მას ჩუმად მოუტანა გალინას წერილი.

წერილი სავსე იყო სასიყვარულო ფრაზებით, ცრემლით დასველებული ასოებით, უამრავი მადლობით იმისთვის, რომ ჯარისკაცი არსებობდა ამ ქვეყანაზე და, რომ მისი ნახვის შემდეგ გალინა ყველაფერს ვარდისფერებში ხედავდა და ა.შ. (უკაცრავად ზოგადი შინაარსისთვის, სხვისი წერილია, მაინც).

"მეც მინდა შენი ნახვა, გალ!" - ასე მოკლე იყო პასუხი, რომელსაც მოჰყვა, მაგრამ, რა მოჰყვა. პირველზე უფრო ვრცელი, ცხელი და დანამული წერილი, ოღონდ, შეხვედრის ადგილისა და დროის დაკონკრეტებით. მაგრამ სანამ ეს წერილი მოვიდოდა, ჯარისკაცმა გაიხსენა თითქმის ყველა საუბარი მასა და გალინას შორის და შეეცადა, ყოველი ფრაზა განემარტა, რომ ქალის განზრახვა გამოეცნო. ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, გარიფულინის მიერ დაგებული ხაფანგი ხომ არააო. მერე თანდათან გაიხსენა, ბოლოს როგორ შეიცვალა გალინა; როგორ მოიხატა ფერუმარილით, როგორ გაიხადა "სპეცოვკა", როგორ ჩაიცვა სიფრიფანა სარაფანი, რომელსაც შიგადაშიგ აფრიალებდა კიდეც მის ცხვირწინ; როგორ თამამად მოძრაობდა მოკლე გამჭვირვალე კაბით აგურების გადაწყობის დროს მასთან ერთად, რითიც ისეთ უხერხულში აგდებდა, რომ იძულებულს ხდიდა, თვალი მოერიდებინა ქალისთვის და ბოლოს ის წარმოუდგენელი ფრაზა ასაკისა და მოთხოვნილების შესახებ. ამან ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა, მეორე წერილმა კი საბოლოოდ დაარწმუნა ქალის გულწრფელობაში.

პირველი შეხვედრა სასაცილო იყო. ქართველ მეთაურს მთელი თავისი კონსპირაციული და დიპლომატიური ნიჭის გამოყენება დასჭირდა საკუჭნაოს მორიგის მოსათაფლად და ოფიცრის გრძელი ქურქის საშოვნელად, რომ შორიდან ვინმეს არ ეცნო. მორიგე ოფიცრების განრიგის გასაგებად, რომ მისი არყოფნის დროს ვინმე შემოწმებაზე არ მოსულიყო და ამგვარად, ყველა დეტალის გათვალისწინების შემდეგ, ქარხნაში დათქმულ დროს, ნაშუაღამევზე ოდნავ დაგვიანებით, საყელოანეული და "უშანკაჩამოფარებული" მივიდა. ცვლა უკვე დამთავრებულიყო და გალინა თანამშრომელ ქალებთან ერთად ქარხნიდან გამოდიოდა. ქართველი კაცი სხვებთან მყოფს, რა თქმა უნდა, არ გამოეცნაურა და გვერდზე გაუარა სრულიად დარწმუნებულმა, რომ ვერავინ იცნობდა, მაგრამ უცებ გალინას ხმა შემოესმა.

- "კომანდირ" ეს შენ ხარ? აქ რა გინდა?

- ა! ჰო, მე ვარ. აქ...

- ბოდიში, გოგოებო, თქვენ წადით, მე დაგეწევით. ეს ჩვენი "კომანდირია", ალბათ რაღაც მოხდა, - გაუშვა თანამშრომლები გალინამ და ჯარისკაცს მიეხუტა, - როგორ მომენატრე "კომანდირ", როგორ მომენატრე. რატომ დაგვიანე. მარტო გელოდებოდი და ვერავინ დაგვინახავდა. ახლა კი, ხვალ უკვე ყველა ილაპარაკებს, რომ ბოლოსდაბოლოს მეც შევაბი "სალდათიკი" და აღარავინ დარჩა პატიოსანი ამ დასახლებაში.

- თუ ასეა, რაღას დამიძახე, წასულიყავი მათთან.

- არა, არა, რას ამბობ. შენ არაფერზე იფიქრო, როცა გინდა, მაშინ მოდი, ოღონდ მოდი, მოდი.

- კარგი, წამოდი, გაგაცილებ, სანამ ქმარი გამოვა საძებნელად.

- მეტი საქმე არა აქვს. გდია, ალბათ, მთვრალი და ძინავს. არყის მეტი აღარაფერი აინტერესებს. ადრე მაგარი ბიჭი იყო, კარგი სპეციალისტიც. სულ წავიდა ხელიდან. ხელფასიც აღარ მოაქვს სახლში.

- რა თოვლია, არა?

- შენ რას ფიქრობ ჩვენზე, "კომანდირ"!

- არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ მინდა გაკოცო.

- რად გინდა ასეთი ბებრუხანას კოცნა.

- კარგი ბებრუხანა ხარ.

პირველი კოცნა არ გამოვიდა. ქალი ისე გაშეშდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. კაცმა კი გაყინული ტუჩების სიცივის მეტი ვერაფერი იგრძნო.

- გინდა ხვალეც მოვიდე?

- კი, კი, უკანა მხრიდან მოდი და დამელოდე. მერე, როცა ყველა წავა, გასახდელში შეგიყვან, იქ თბილა.

მეორე ღამეს გასახდელში შესულ მეთაურს გაღიმებული ლუბა დახვდა, რომელიც გალინამ კარებთან საყარაულოდ დააყენა.

"ოღონდ ჩქარა ქენით, გვიანაა უკვე," - გააწითლა ლუბამ მეგობარი, პოსტზე წასვლის წინ.

ასე გაგრძელდა გალინას დაფეხმძიმებამდე, რასაც მისი განუწყვეტელი ნერვიულობა მოჰყვა. ვერ გადაეწყვიტა, რა გაეკეთებია. გახარებული ქართველი ჯარისკაცი ამშვიდებდა, არწმუნებდა, რომ ბავშვი არ მოეცილებინა.

- გალ! გთხოვ, გააჩინე და მე წავიყვან საქართველოში. როგორც კი გააჩენ, მაშინვე ჩამოვიყვან ჩემებს, სამშობიაროშივე ვაშვილებინებ და თბილისში გავატან. ოღონდ გააჩინე.

- არ ვიცი, არ ვიცი, ქმარს რა ვუთხრა... კარგი, მაგას რაღაცას მოვუხერხებ; ვეტყვი, რომ მთვარალი იყავი და არ გახსოვს არაფერი-თქო, მაგრამ დედამთილს რა ვუყო, იმ გველს. ყველას უთვალთვალებს, უსმენს და აბეზღებს. ამხანაგურ სასამართლოებზე პროკურორობს. მაგისი მთელ დასახლებას ეშინია, ქარხნის დირექციასაც. საჩივრებს მოსკოვში აგზავნის. მუცელი როგორც კი დამეტყობა, მიხვდება, რომ სხვისგან მყავს. მაგას ვერაფერს გამოაპარებ. ისედაც მკილავს უკვე, ამბობენო, პატიოსნება ვერავინ შეინარჩუნა ამ დასახლებაშიო. ნეტავ, რატომ ლაპარაკობენ ასეო და გამომცდელი მზერით მიყურებს. მისი ბედოვლათის გალოთებასაც მე მაბრალებს.

- ნუ მიაქცევ ყურადღებას.

- არ ვიცი, არ ვიცი.

მერე გალინა დაიკარგა. შვებულება აუღია და ბელორუსიაში დედამისთან რჩევის საკითხავად გაქცეულა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვერაფერი გაბედა დედამისის კომენტარის შემდეგ, - ოღონდ, ქართველი არა!-ო.

- მაინც, რატომ არა ქართველი? - დაღონებით ჰკითხა თბილისელმა ჯარისკაცმა ბელორუსიიდან დაბრუნებულ ქალს.

- არ ვიცი, ვერ გავბედე კითხვა და საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

- თუმცა, ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

- ჰო, არაფერი, მაგრამ, რაღაც ცუდ ხასიათზე დავდექი. დედამ დიდი გაჭირვებით გაგვზარდა. მერე, მე რომ მოსკოვში წამოვედი, ტექნიკუმი დავამთავრე, გავთხოვდი და აქ დავრჩი, ინერვიულა, შორს ხარო. მართლაც წელიწადში ერთხელ ძლივს ვახერხებ ბელორუსიაში რამდენიმე დღით ჩასვლას. ამ ჩემი ბედოვლათი "მუჟიკის" გალოთებაც განიცადა. ახლა კიდევ შენც არასასურველი ყოფილხარ მისთვის. სულ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ძალიან არ გავუმართლე დედას იმედები.

მერე გალინა ისევ დაიკარგა და ორი კვირის შემდეგ გამოჩნდა, მაღალსიცხიანი, მისუსტებული, უბედური. აბორტი გაუკეთებია. ეს იყო ქართველი ჯარისკაცის მიერ საბჭოთა ჯარში განცდილი პირველი და უკანასკნელი მარცხი.

- ძალიან ცუდი რამე ჩავიდინე. ჩვენ ისეთი ბიჭი დავღუპეთ... აუცილებლად შენ დაგემსგავსებოდა, თქვენი სისხლი ხომ უფრო ძლიერია... - ძლივს, სვენებსვენებით ლაპარაკოდა მისუსტებული ქალი.

ქართველი ჯარისკაცისთვის სწორედ აქ იყო პასუხი კითხვაზე, - რატომ ქართველი არა? - ესენი, თურმე, ძლიერი სისხლის სუნზე იგეშებიან; მაგრამ მაშინ ამ თემაზე საუბრის თავი არ ჰქონდა. მხოლოდ ერთმა ფრაზამ მოსჭრა ყური, - "ჩვენ დავღუპეთ!"

- ჩვენ დავღუპეთ? მე მგონი გემუდარებოდი, რომ ... - შეანყვეტინა ქალს უკმაყოფილო ჯარისკაცმა, მაგრამ ქალმაც აღარ გააგრძელებინა.

- ჰო, ჰო, მემუდარებოდი და ნეტავი მართლაც შენთვის დამეჯერებია... მოსახდენი მომხდარიყო, იყვირებდნენ, იყეფებდნენ, მაგრამ ყველასთვის მიმეფურთხებია. ექიმმა თქვა, ისეთი ძლიერი აღნაგობის ბიჭი ჩანდაო... შენი ცხოვრების ნაწილიც დამრჩებოდა.

- ბავშვს მე წავიყვანდი, - ისეთი დამაჯერებლობით წარმოთქვა "კომანდირმა", თითქოს ადეალაში გახვეული ჩვილი უბეში ჰყოლოდეს ჩახუტებული.

- იცი?... მეც გაგატანდი... - შეანათა "კომანდირს" თავისი ნათელი თვალები ქალმა და, თითქოს, ყოველგვარი ეჭვის გაფანტვა სურსო დაამატა, - მაშინ შენ დაგრჩებოდა ჩემი ცხოვრების ნაწილი.

რამ გამახსენა, ახლა, ეს ამბავი? - ჯერ ერთი, რა დამავიწყებს მის უპირადულესობას და მეორეც, ნეკრასოვის საპრიზო ფილმმა, რომელსაც, სამწუხაროდ, შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ რომელიმე კონოფესტივალზე გამარჯვება და მეტი არაფერი. ამაზე, ვგონებ, ჩემი დრამატული ამბის ადამიანთა ტიპებიც მეტყველებენ. მაგალითად, გალინას დედა თავისი "ოღონდ ქართველი არა!"-თი რუსეთის ისტორია მგონია 1783 წლიდან დღემდე; ხოლო - გალინას ლოთი ქმარი და "კიკიმორა" დედამთილი ორთავიანი არწივის ორივე თავ-თავა პერსონაჟი, დღევანდელ კრემლში მოკალათებული. ამათზე ტურგენევის იმ "მუმუმ" თუ არ იმოქმედა, ნეკრასოვის ეს "უი, უი!" იმოქმედებს?!

უბედური გალინა კი დერჟავული ბრჭყალების ქვეშ გაგდებული საცოდავი რუსი მოქალაქე მგონია, რომელიც იძულებით კლავს თავისი სიყვარულის ნაყოფს. იქნებ სინანულის ნაყოფი მაინც გაახაროს. გალინას ხომ სინანული ჰქონდა?

სატენდერო განცხადება

European Union **United Nations Development Programme**

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

გამოაცხადოს ტენდერი

Ref: FOSTER – EC Infrastructure Rehabilitation #00063905/14

შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებში სარეაბილიტაციო და სამშენებლო ობიექტების (5 ლოტი) პროექტირებაზე

ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წინადადების დასკანირებული ვერსია გამოაგზავნეთ ელ-მისამართზე: **levan.elbakidze@undp.org.ge** არაუგვიანეს 2009 წლის 27 ნოემბრის 17:00 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბ-ნ ლევან ელბაქიძეს ტელ: 8270-7-95-70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

სატენდერო განცხადება

United Nations Development Programme

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

გამოაცხადოს ტენდერი

Ref: FOSTER – Livelihood - Agr. Input #00063049-3

ქარსაცავი ზოლის გაშენებაზე თელიანის დევნილთა დასახლებისათვის, კასპის მუნიციპალიტეტი, შიდა ქართლი

ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წინადადებები წარმოადგინეთ 2 (ორ) დალუქულ კონვერტად (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 16 ნოემბრის 12:00 სთ-მდე მისამართზე:
თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბ-ნ ლევან ელბაქიძეს ტელ: 8270-7-95-70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს 2009 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: IX ფაქტორკონცენტრატი - 200 000 ს.ე. (500 ს.ე. დაფასოების);

II ლოტი: VIII ფაქტორკონცენტრატი - 1 550 000 ს.ე. მათ შორის 50 000 ს.ე. რეკომბინატური VIII ფაქტორკონცენტრატი (250 და/ან 500 ს.ე. დაფასოების).

3. საქონლის მიწოდების ვადაა არა უგვიანეს 2009 წლის 20 დეკემბრისა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით: **INCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 3 დეკემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 4 დეკემბერს, 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს***.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის - სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

13. ტენდერში მონაწილების მსურველ პირებს ***სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე***, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას ***არ ექვემდებარება***.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 932294, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახები N 412, N413.

სატენდერო კომისია

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 04 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთების და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების (2 ლოტიანი) სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ **2009 წლის 04 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთების და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების (2 ლოტიანი)** შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

ა) განცხადების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის, გახოკიძის ქუჩიდან სამხედრო კორპუსამდე მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთების და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ბ) შეცვლილ იქნას შესყიდვის ობიექტი : ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის, გახოკიძის ქუჩიდან სამხედრო კორპუსამდე მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთება და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

გ) შესყიდვის ობიექტი დაიყოს 3 სამი (სამი) ლოტად:

ლოტი N1 - ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთება;

ლოტი N2 - ქ. თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ლოტი N3 - ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩიდან სამხედრო კორპუსამდე მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთება.

დ) შესრულების სავალდებულო ვადა თითოელ ლოტზე - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე.

ე) შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი **ქ. თბილისში, ენათმეცნიერების ინსტიტუტთან მისასვლელი გზის, გახოკიძის ქუჩიდან სამხედრო კორპუსამდე მისასვლელი გზის კაპიტალური შეკეთების და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების (3 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

სატენდერო კომისია

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
სატენდერო განცხადება

მოწვევა საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობა სადგერში
სატენდერო პაკეტი: EBRD/CW/ICT/1-1- Borjomi

წინამდებარე განცხადება წარმოადგენს სატენდერო მოწვევის გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის 16 ივნისს და განახლდა 2009 წლის 16 ივნისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ინტერნეტ გვერდზე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემდგომში მოხსენებული როგორც "დამკვეთი", აპირებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (შემდგომში მოხსენებული როგორც „ბანკი") მიერ მიღებული სესხის და ევროკავშირის წყლის პროექტების ხელშემწყობი ფონდიდან ("EUWI") მიღებული გრანტების ნაწილით და ქალაქ ბორჯომის თანადაფინანსებით დააფინანსოს ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობა სადგერში.

"დამკვეთი" იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით, რომელიც დაფინანსებული იქნება სესხისა და გრანტების ნაწილიდან.

ნედლი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა სადგერში

სამუშაოები ითვალისწინებს დეტალური მუშა პროექტისა და მუშა ნახაზების შემუშავებას; აღჭUრვილობის მოწოდებას, მონტაჟსა და ექსპლოატაციაში გაშვებას.

პროექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, თბილისიდან აღმოსავლეთით 160 კმ მანძილზე. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ხაშური-ახალციხის ავტომაგისტრალისა და ამიერკავკასიის რკინიგზის ახალციხე-ხაშურის განშტოების მეშვეობით.

სამუშაოების სავარაუდო ხარძლივობაა 16 თვე.

ბანკის სესხით და გრანტებით დაფინანსებული სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ღია ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღოს ფირმებმა ნებისმიერი ქვეყნიდან. ბანკის სესხის ნაწილით არ დაფინანსდება პიროვნების ან ერთეულების, ან საქონლის იმპორტის ხარჯები, თუ ასეთი გადახდები ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაეთიანებული ერების წესდების VII მუხლის საფუძველზე.

კონკურსანტები მოწვეულნი არიან წარმოადგინონ წინადადება მთლიან კონტრაქტზე.

იმისათვის, რომ მინიჭებულ იქნას კონტრაქტი კონკურსანტი (ან მასთან ასოცირებული კომპანია) უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

a) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3,500,000 ევროს ექვივალენტი;

b) კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული ზემოხსენებული სამუშაოების მსგავსი სირთულის მქონე მინიმუმ ერთი კონტრაქტი.

გ) კონტრაქტის განხორციელებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის არსებობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს კრედიტის აღების ან სხვა ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობა უნდა იყოს მინიმუმ 0,8 მილიონი ევროს ექვივალენტი;

საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 300 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსანტს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება "დამქირავებელს". შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ბანკი რესპუბლიკა. გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 334 180 001
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 383 408 00 01
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
შესაბამისი მითითებით: "მოწვევა სატენდერო პაკეტის შეძენაზე N **EBRD/CW/ICT/1-1-Borjomi**"

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია, რომლის ფორმაც მითითებული სატენდერო დოკუმენტაციაში, 45 000 (ორმოცდახუთიათასი) ლარზე (ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში).

საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2009 წლის 12 იანვრისა, 12:00 სთ**. (ადგილობრივი დროით), სადაც ისინი გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი
ქ. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, IV სართული
ტელ: (995 32) 48-45-09/10/11/15/55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"

აცხადებს ფასთა გამოკითხვას:

კასპის ცემენტის ქარხნისთვის ჯავშანის ჭანჭიკი-ქანჩით და საყელურით M33X150 დამზადებაზე (თანდართული ნახაზის მიხედვით), რაოდენობა 2000 ცალი).

მონაცემების წაღება შეგიძლიათ განცხადების
გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

მელიქიშვილის N 16, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47 (112)
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 20 ნოემბერი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ტენდერს 2009 წლის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია: მორფინის ჰიდროქლორიდი 1%, 1 მ/ლ ამპულებში - 260 000 ამპულა.

3. საქონლის მიწოდების ვადაა არა უგვიანეს 2009 წლის 20 დეკემბრისა. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით: **INCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 3 დეკემბრის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 4 დეკემბერს 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს***.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

ბ) ლიცენზია და/ან ნებართვა შესაბამისი საქმიანობის შესახებ;

გ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ნებართვა.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

13. ტენდერში მონაწილების მსურველ პირებს ***სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე***, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

14. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას ***არ ექვემდებარება***.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 932294, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629, მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახები N 412, N413.

სატენდერო კომისია

ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ავტობაზრობის მფლობელი შპს "მიკადო ჯორჯია" (მდებარე: ქ. რუსთავი, მომსახურების სააგენტოს მიმდებარე ტერიტორია) ავტობაზრობის ტერიტორიაზე მომსახურეობის ობიექტების განთავსებისა და მომხმარებლისათვის სხვადასხვა სერვისის შეთავზების მიზნით აცხადებს ტენდერს.

ლოტი 1:

ავტომობილების ტექნიკური მომსახურეობის ცენტრი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

თანამედროვე სადიაგნოსტიკო ცენტრი, სახელოსნო, ვულკანიზაცია.
აუცილებელი მინიმალური ფართი - 200 კვ/მ;
ყოველთვიური იჯარის თანხა 1 კვ/მ - 30 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

ავტოსამრეცხაოები:
მინიმალური ფართი 300 კვ/მ;
ყოველთვიური იჯარის თანხა 1 კვ/მ - 30 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

ლოტი 2

ავტობაზრობის ტერიტორიაზე განსათავსებელი საკვების ობიექტები:

სწრაფი კვების ობიექტი მინ. 3 ერთეული (არანაკლებ 15 კვ/მ),
ყოველთვიური იჯარის თანხა 1 კვ/მ - 30 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

რესტორანი
მინიმალური ფართი 300 კვ/მ
ყოველთვიური იჯარის თანხა 1 კვ/მ - 30 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

ლოტი 3

ავტობაზრობის ტერიტორიაზე განსათავსებელი **სასტუმრო**.

განიხილება თქვენს მიერ სასტუმროსათვის გამოყოფილი შენობის - ფართობით 3600 კვ/მ, განვითარების ბიზნეს გეგმა

ყოველთვიური იჯარის თანხა - წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის შესაბამისად:

ლოტი 4

ავტობაზრობის ტერიტორიაზე (22 ჰა) განსათავსებელი **სარეკლამო ფარები**.

ყოველთვიური იჯარის თანხა - წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის შესაბამისად.

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:
ა) განაცხადი მონაწილეობაზე;
ბ) თქვენი შემოთავაზება ჩვენი მოთხოვნების მიხედვით;
გ) მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;
დ) საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;
ე) საბანკო რეკვიზიტები;
ვ) წარმომადგენლობასა და ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ქსეროასლი;

თქვენი განაცხადი წარმოდგენილი (გამოგზავნილი) უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მერაბ კოსტავას გამზირი N24, შპს „მიკადო ჯორჯია".

განაცხადისა და შემოთავაზების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 18 ნოემბერი 18:00. აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება. განაცხადი შეფასდება არაუგვიანეს 2009 წლის 19 ნოემბრისა, ზემოთ მითითებულ მისამართზე. შემოთავაზება წამოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 891 11 17 17 (მაკა კიზირია); 8911 11 00 91 (მერაბ მარაქველიძე).

განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. ზუგდიდი, 2100 რუსთაველის ქ. №90) აცხადებს ტენდერს ***სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე*** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. შესყიდვის ობიექტი:

- ქ. ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №90-ში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე მდებარე ორი საოფისე ოთახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

3. შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
4. სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე.
5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ორიგინალის და ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით ***2009 წლის 2 დეკემბერს, 10:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.*** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან, მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
გ) ცნობას, საჯარო საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);
გ) ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საბუთი;
დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ (სამუშაოს მითითებით, რომელიც შესრულებულ იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად).

№	*სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)*	*შემსყიდველის დასახელება*	*ხელშეკრულების ღირებულება*	*შენიშვნა: სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის*
1				
2				
და ა.შ				

7. სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში მათი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს მე-6 მუხლში მითითებულ ცნობებსა და ინფორმაციას.
8. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
9. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ***2009 წლის 2 დეკემბერს, 15:00 სთ-ზე,*** სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
10. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.
12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების მიღების დასრულებამდე, ***შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-4 სართული, ოთახი №3.*** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობაზე დაინტერესებულ პრეტენდენტებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ***ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300343174, გადახდის დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.***
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა მელუა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ***ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-4 სართული, მე-3 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 8(215) 5-19-39.***

სატენდერო კომისია

საქმე №2/4755-09

თბილისის საქალაქო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

02 ნოემბერი, 2009 წელი — თბილისი

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია — მოსამართლე სოსო ღურწკაია

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელე - სს ბანკი „რესპუბლიკა“

წარმომადგენელი — ნინო ჯიშკარიანი

მოპასუხე - მიხეილ წულაძე

დავის საგანი - საკრედიტო ბარათის ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, თანხის დაკისრება

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე სს ბანკი „რესპუბლიკას“ სარჩელი და მოპასუხეს დაეკისრა 3 214,08 ლარის, სახელმწიფო ბაჟის 100 ლარისა და წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯის- 120 ლარის გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები გაეგზავნა მოპასუხეს სარჩელში მითითებულ მისამართზე, კერძოდ, თბილისი, ყაზბეგის №28, ბინა №10, რომელიც 2009 წლის 09 ივლისს ჩაბარდა მის მეუღლეს ლია ავალიანს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მოპასუხე მიხეილ წულაძეს გაეგზავნა ზემოაღნიშნულ მისამართზე, მაგრამ მისმა მეუღლემ გზავნილი აღარ ჩაიბარა. ამ უკანასკნელის განმარტებით, ოჯახური ურთიერთობის გამო ისინი 1 წელია გაშორდნენ და აღნიშნულ მისამართზე მოპასუხე აღარ ცხოვრობს და მისი ადგილსამყოფელი ლ. ავალიანისთვის უცნობია.

მოპასუხე მიხეილ წულაძეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხის გადაწყვეტის მიზნით დანიშნული სასამართლო სხდომის

შესახებ სასამართლო უწყება გაეგზავნა იმავე მისამართზე, მისმა მეუღლემ ლია ავალიანმა უარი განაცხადა უწყების ჩაბარებაზე ზემოაღნიშნული მიზეზით და ისევ განაცხადა, რომ მიხეილ წულაძის ადგილსამყოფელი მისთვის უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით. აღნიშნული კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე მიხეილ წულაძის ადგილსამყოფელი უცნობია სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გზავნილის — დაუსწრებელი გადაწყვეტილების — შინაარსი ადრესატს ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილით მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოპასუხე მიხეილ წულაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით, კერძოდ:
   - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 21 სექტემბერს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოპასუხე მიხეილ წულაძეს, შესაგებლის შემოუტანლობის გამო, მოსარჩელე სს ბანკის „რესპუბლიკას“ სასარგებლოდ დაეკისრა 3 214,08 ლარის, სახელმწიფო ბაჟის 100 ლარისა და წარმომადგენლისათვის გაწეული ხარჯის - 120 ლარის გადახდა.
   - მოპასუხე მიხეილ წულაძეს ასევე ეცნობოს, რომ მას შეუძლია შემოიტანოს საჩივარი ამავე სასამართლოში ამ გადაწყვეტილებაზე 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მას ჩაბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და არ საჩივრდება;
2. საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების ასლი შესასრულებლად გადაეცეს მოსარჩელეს, რომელმაც მისი გამოქვეყნება უნდა უზრუნველყოს 2009 წლის 11 ნოემბრამდე მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებით, რომელიც გავრცელებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

3. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე მიხეილ წულაძისთვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
4. განჩინება არ გასაჩივრდება.

მოსამართლე — სოსო ღურწკაია

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ - “24 საათში” ქ. თბილისის მერიის სამხედრო საქმიანობის ავტომატიზაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და ამ უკანასკნელის მე-3 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 26 ოქტომბრიდან ამავე წლის 18 ნოემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 18 ნოემბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

სატენდერო კომისია

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80